სახალხო გაზეთი

№ 809 · სამშაბათი, 29 იანვარი 1913

ყ[illegible]ღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

განცხადების ფასი. ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ[illegible] განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიც[illegible] [illegible]ტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორ[illegible] [illegible]ვაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის [illegible]

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონ № 12-29

გაზეთის ფასი წლიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ტფილისი

სახალხო გაზეთი
ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1913 წელსაც გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

(კვირაობით)

პრემიად 1913 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **ორი წიგნი**

1) **უცხოეთის მწერლები** (400 გვ.) ამ კრებულში მოთავსებული იქნება თხზულებები შემდეგ გამოჩენილ მწერლებისა—**კნუტ ჰამსუნისა, არტურ შნიცლერისა, ჰენრიკ სენკევიჩისა** და სხვათა.

2) **ქართველი ერის ისტორია,** პროფ. ივ. ალ. ჯავახიშვილისა. პირველი და მეორე ტომი ერთს წიგნად, სურათებითა და ძველი საქართველოს რუკით.

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე. **40 კაპ.**

დანა[illegible] [illegible] უფასოდ.

ათი შაური უნდა გადიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს მიიღოს ფოსტით ორი საპრემიო წიგნი. ვინც რედაქციის კანტორაში მიიღებს პრემიას, იმას ეს ფული არ გადახდება.

წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ. ნაწილობით

მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელისმოწერისათანავე 3 მ.; 1 აპრილამდე 2 მ.; 1 თიბათვემდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ენკენისთვემდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1913 წლის გასულისა.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში,**
3) **ფოსტით:** Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ 190.

კნ. ნინო კონსტანტინე ერისთავის ასული, გიორგი ოთარის ძე და კონსტანტინე გიორგის ძე თავადი ამილახორები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა—საყვარელი დედა, მეორისა—სიდედრი, ხოლო მესამისა დიდედა

კნ. ნატალია ალმასხან ნიჟარაძის ასული **ერისთავისა**

დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს, 30 იანვარს, დაბა **საჩხერეში** დილის ათ საათზე. 74.

---

26 იანვარს, გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ნინო პავლეს ასული რომანკევიჩისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: **დედა ეკატერინე ბესარიონის ასული; დები: მარიამ შამამთავრიშვილისა, მართა, სოფიო და ძმა გიორგი ივანოვები.** მიცვალებულს გამოასვენებენ დღეს, 9 საათზე, ჭავჭავაძის ქუჩა, ლესნოი მისახვევი, № 33, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. 77

ალექსანდრე გაბრიელის ძე, ალექსანდრე, ვანო, მარო, ლუდმილა, მიშა და შალვა იოსების ძენი, მასიკო, გიორგი, ასინეთი, ბაკა, ანა, პეტრე და დიომიდე ალექსანდრეს ძე ხომერიკეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა პირველისა—შვილი, მეორეთა—მამა და მესამეთა—ძმა

იოსებ ალექსანდრეს ძე ხომერიკი

ქ. ოზურგეთში, 27 იანვარს. 78.

ოზურგეთის ქალაქის თვითმმართველობა მწუხარებით აუწყებს მცხოვრებლებს, რომ უდროოდ გარდაიცვალა ქ. ოზურგეთის რწმუნებული

იოსებ ალექსანდრეს ძე ხომერიკი.

ცხედარს გამოასვენებენ სამშაბათს, 29 იანვარს, ნაშუადღევის 4 საათზე.

გამოსულია და იყიდება

ი. გედევანიშვილის პიესა

„მამცემი“

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდ. № 47.

ტასო აბაშიძის ბენეფისი.

ხუთშ., 31 იანვ., ქართ. დრ. საზ. დას. მიერ **ტასო აბაშიძის საბენეფისოდ** წარმოდგ. იქნება ინგლისის გამოჩენილ მწერლის **ბერნარდ შოუს** პიესა

კეისარი და კლეოპატრა, დრამა 5 მოქ. და 6 სურათად, თარგმ. ვ. შალიკაშვილისა.

კლეოპატრას როლს შეასრულებს **ტასო აბაშიძე.**

განსაკუთრებით ამ პიესისათვის დამზადებულია **ახალი ტანისამოსები მ. მ. საფაროვ-აბაშიძის** ზედამხედველობით და **ახალი დეკორაციები** გ. ნადებაშვილის მიერ დამზად.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ლეჟავა, ლოლუა, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ჟივიძე, სა[illegible]რ[illegible]ული, ციციშვილი, შალიკაშვილი, და შანშიაშვილი.

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილების ფასი საბენეფისოა.

1040 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი.** ქართ. დრ. საზ. ადმინისტრ

ქ. ი. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

სამშაბათს, 29 იანვარს,

სახალხო სამუსიკო საზოგადოება დასდგამს

დ ე მ ო ნ ს,

ა. გ. რ-ბენშტეინის ოპერას, 3 მოქმედ. და 5 სურათად

მომქმედნი პირნი: თამარა—ქ-ნი ზიკოვისა, ანგელოზი, კეთილი სული—ქ-ნი კირილოვ-დინიკისა, თამარის ძიძა—ქ-ნი ისტოვისა, დემონი, ბოროტი სული—ბ-ნი ნინიაბაროვ, სინოდალი, თამარის საქმრო—ბ-ნი გერასიმოვი, მოხუცი მსახური სინოდალისა—ბ-ნი გაევი, თ-დი გუდალი—ბ-ნი საბინი, სინოდალის შიკრიკი—ბ-ნი ბუროვი.

ქართველი კაცები, ქალები, სტუმრები, ანგელოზები, სულნი და სხვ.

ლოტბარი **პოლიკარპე ფ[illegible]ლიაშვილი.** რეჟისორი **ვ. პ. კუზნეცოვი.**

მესამე მოქმედებაში **ლეკურს** იცეკვებენ ქ-ნი **ზიკოვისა** და ბ-ნი **ალექსიძე.**

დასაწყ. საღ. 8 ს. ადგილ. ფასი 10 კ.—1 მ.-დე. ბილეთ. იყიდება ზუბ. სახ. სახ კასაში.

82 გამგეობის მორიგე წევრი **თ. ი. დოლიძე.**

ახალი კლუბი

სამშაბათს, 29 იანვარს,

საოჯახო საღამო

თეატრის სცენაზე წარმოდგ. იქნება **ვას. ალ. აბაშიძის მონაწილეობით „რაც გინახავს, ველარ ნახავ“** კომ. 3 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მონაწ. მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, გოგოლაშვილი, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გამყრელიძე, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, ჟივიძე, ციციშვილი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. თეატრში შესვლა უფასოდ,—კლუბში: კაცები—1 მ., ქალები—50 კ., სტუდენტ.—25 კ. 1017

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ჩვენი პოეტების პოემები და ლექსები:

აბაშიძე გრ.	ფ. 60 კ.
ბარათაშვილი ნ.	„ 40 „
ბესიკი. სიტყვ.-კაზმ. საზ. გამ.	1 მ.—
გურამიშვილი დ. „დავითიანი“	1 მ.—
გურიელი მამია	1 მ.—
განდეგილის ლექსებ.	— 50 „
დუტუ მეგრელი წ. I ლექსებ.	70 „
ერისთავი რაფ. წ. I	1 მ.—
ევდოშვილი, ლექსები და პოემები	60 „
ვაჟა-ფშაველა	1 მ.—
ვეფხის ტყაოსანი ქართველიშვილის გამოც.	10 მ. 65 „
„ „ ქ. შ. წ. კ. ს. გამ.	60 „

თამარიანი, გუგუნავასი	50 „
ორბელიანი ვახტ.	60 „
ორბელიანი გრ. რჩეული ლექს.	20 „
სილოვანის ლექსები 1878—1894.	50 „
ცისკარი. რუხაძის ლექსები	25 „
შანშიაშვილი. შვების თავადი	60 „
ჭავჭავაძე ალ. ლექსები	30 „
ჭავჭავაძე ილ.	27 „
წერეთელი აკაკი ტ. I	1 მ.—
— — ტ. II	1 მ.—
— —ჩემი ნაწერ. ტ. I	75 „
— — იგავ-არაკნი	50 „

ადრესი: Тифлисъ О-ва распр. грамогности срел. гр. нас. 1141

ტფილისის კერძო სამკურნალო

ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან [illegible] ის ძე ა. საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მტკვრის სანაპიროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებით [illegible] განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები.

შინაგანი სნეულებ.	**დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3. **მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ქირურგ. [illegible]	**მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.) **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. **ექ. ქალი ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** (სამშ. ხუთ. შაბ.) 11½—12½.
ქალთა და სამშობ.	ექიმი-ქალი **ვერბიცკა-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12. **[illegible] ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. **[illegible] ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს. **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1. **ფედოროვა ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. [illegible]	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11. **დავითიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2. **ფონდოევი, გ. ხ.** (ყოველ-დღე) 1—2 ს.
ყურ. [illegible]	**ათინიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½. **ორემოვსკი ნ. ხ.** (ყოველ დღე) 1½—2.
თვალის [illegible]	**მუსხელიშვილი გ. ხ.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½.
კან. და [illegible]	**დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულტიუმი, შარდის ბუშტისა და შარდების კატეტერიზაცია; „606“ „914“ და წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, კვარცის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შესაფერიანი სამსახურით. ტ. 1035

გამოსულია და იყიდება

ნ. შიუკაშვილის

პიესა **„მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

სალიტერატურო კრებულის

„გრდემლის“

მესამე წიგნის გამოცემა

განზრახულია ამ წლის პირველ ნახევარში. ქართულ სიტყვაკაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭოს განზრახული აქვს, რამდენადაც სახსარი ნებას მისცემს, თანამშრომლებს ჰონორარი მისცეს. მესამე წიგნი შემდგარი იქნება ორი ნაწილისაგან ისე, როგორც გრდემლის პირველი წიგნი. მასალას კრებულისთვის მიიღებს საზოგადოების თავმჯდომარე გ. რცხილაძე. ადრესი: ოლღას შესახვევი № 5. 1016.

დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. **გ. გ. მებრაბიანცი**

წამლობა ჭლექისა ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით, იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **ხოლოდოვსკი**, ბებუთოვის ქ., № 23 (ვანოვის ქ. ტელეფ. კუთხე). 7—29. 847

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 8, სოლომონ ივანეს ძე [illegible], დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. [illegible] 1020

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., **გაშინჯვა და გადაღება** რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № [illegible] [illegible]22

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი, ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში. იღებს ნერვებით ავადმყოფებს 5—6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12.

იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი. 67

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა [illegible]

ექიმი ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—6 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

ექიმი ი. ი. ბერიშვილი სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელიზაბედ. ქ.,** № 34, კიროჩნი ქუჩის ახლო, [illegible] განყ. [illegible] 102

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებით** ავადმყოფთ ყოველ დღე [illegible] საათამდე. [illegible] № 6.

ქართული პრესა

დეპუტატ გელოვანსა და იმ მტრულ განწყობილების შესახებ, რომელიც მასთან სოციალ-დემოკრატ დეპუტატებმა დაიჭირეს, ჟურნალი „კლდე“ სწერს:

„სულ ერთი თვის წინად საქართველოს დეპუტატმა ვ. გელოვანმა მინისტრ პრეზიდენტის დეკლარაციის საპასუხოდ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა საქართველოს ავტონომიის საჭიროება. მაშინვე იქნა აღნიშნული ქართულ პრესაში, რომ ასეთ დიდ განცხადებას სათათბირო, პრესა და მოწინავე საზოგადოება ყრუდ შეჰხვდა. თავის-თავად ასეთი განცხადება დიდი ფაქტია. გამოსულა რომელიმე ერის დეპუტატისა და განცხადება, ჩემი ხალხი თვითმმართველობას თხოულობსო, ნიშნავს რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში დგება ახალი ხანა, რომელსაც ანგარიში უნდა გაუწიოს პარლამენტმაც და სახელმწიფომაც“.

ჟურნალი „კლდე“ ამას იმითა ჰხსნის, რომ რუსეთში საქართველოს ავტონომიის იდეა საზოგადოდ პოპულიარული არ არის და ბოლოს სოციალ-დემოკრატების საქციელსაც ეხება.

„მაგრამ ზემოაღნიშნულ მიზეზების გარდა,—სწერს ჟურნალი „კლდე“,—არის კიდევ სხვა, რომელმაც ზიანი მიაყენა დეპუტატ გელოვანის პირველ გამოსვლას. სოციალ-დემოკრატიული პოზიცია ჩხეიძესი და ჩხენკელისა აუცილებლივ მავნეა ჩვენთვის. ეჭვი არ არის, რომ მათ შეიტანეს დისონანსი გელოვანის პირველ ნაბიჯში. არას ვიტყვით ე. გეგეჭკორზე, რომლის საქციელი არ შეეფერება თუ გინდ ყოფილ პარლამენტარისტს; განცხადება დეპუტატ ჩხენკელისა, რომ ქუთაისის დემოკრატიამ ვითომ მათ დაავალა თავის ინტერესების დაცვა—აბსურდია იურიდიულად და უარესი აბსურდია თვით პარლამენტარიზმის თვალსაზრისით, რადგა ვერავითარი „დაბარება“ ვერ დაუშლის ვ. გელოვანს გამოვიდეს და ჩხენკელზე უკეთესად დაიცვას ქუთაისის გუბერნიის დემოკრატიის ინტერესები. და თუ გელოვანი ამის უნარს გამოიჩენს, ვერავითარი „გუბერნიის დემოკრატია“ ვერ შესძლებს მაშინ ამ დაცულ ინტერესების უარყოფას.

ჟურნალი „კლდე“ არკვევს, თუ რა მიზნით გაილაშქრეს სოციალ-დემოკრატებმა დეპუტატ გელოვანის წინააღმდეგ.

„თავისი გალაშქრებით,—სწერს ჟურნალი „კლდე“,— მათ მოინდომეს დაენახვებინათ სათათბიროსთვის, რომ ვარლამ გელოვანი არამც თუ საქართველოს სურვილის გამომხატველი არ არის, არამედ თვით მისი ამომრჩეველი გუბერნიაც კი არ სთვლის მას თავისს დეპუტატად. ეს, თავის-თავად არასაკადრისი საქციელი, დაასაბუთეს იმით, რომ „გუბერნიის დემოკრატიამ“ თავის ინტერესების დაცვა მათ—ჩხენკელსა და ჩხეიძეს დაავალა და არა გელოვანს. აქედან დასკვნა ერთია—მაშასადამე „გუბერნიის დემოკრატია“ წინააღმდეგია ავტონომიისა.

ჩხენკელსა და ჩხეიძეს რა მუცლის გვრემაცა აქვთ, ძალიან კარგად ვიცით, მაგრამ მიაღწევენ მიზანს, თუ არა, ეს ძალიან საეჭვოა, პირიქით, ყველაფერი იმას მოასწავებს, რომ სოციალ-დემოკრატებს მალე საქართველოს სხვა გუბერნიებიც უნდობლობას გამოუცხადებენ. პარტია, რომელიც თავისს საკუთარ ერის ეროვნულ იდეალს უარჰყოფს, მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს ძლიერი, როდესაც ერსა სძინავს. გამოღვიძებულ ერის წინაშე კი ისინი იძულებულნი გაჰქცებიან ან მორჩილად ქედი მოიხარონ, ან პოლიტიკურ ასპარეზიდან გადადგნენ. წავიდა დრო ეროვნულ საკითხის კომპრომისიულ გადაწყვეტისა.

* *

„მერცხალში“ დაბეჭდილ ბ-ნ მოსულის წერილის გამო გაზეთი „თემი“ სწერს:

„ბ. მოსულს ამის გამო არ უნდა შეეხედნა ალმაცერად თვით საქმისათვის, რომელიც უეჭველად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ხალხისთვის სასარგებლო საქმედ. სამელიორაციო ბანკის დაარსება სწორედ მარტო ჩვენი სოფლის მეურნე ხალხისთვის იქნება გამოსადეგი და სხვა არავისთვის. როგორ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, რომ ეს ფინანსიური დაწესებულება მარტო ერთ წოდებას გაუწევს სამსახურს. ეს უეჭველად უწოდებრივო ბანკი იქნება. მისი დანიშნულებაა მეურნეობის აყვავებისათვის ხელის შეწყობა. მაშასადამე ის იქნება უბრალო იარაღი, რომელიც უნდა გამოიყენოს თავის სასარგებლოდ თვით ჩვენმა მშრომელმა სოფლის ხალხმა... ასე უნდა შეეხედნა ბ. მოსულს აღძრულ საკითხისთვის და ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ თავის ნაჩქარევ ნაფიქრით მან დისჰარმონია შეიტანა საერთო საქმეში“.

ვეჭვობთ, თვით ბ-ნმა მოსულმაც ძალიან კარგად არ იცოდეს, რომ ასეთი დაწესებულების შექმნა ავაზაკობა არ არის. მაგრამ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში, როგორც ეტყობა, ყველა საშუალება კარგი ყოფილა.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პანაშვიდი.** 27 იანვარს, განსვენებულ პროფესორ ა. ს. ხახანაშვილის გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის თაოსნობით, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი. დაესწრნენ წარმომადგენელნი: ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გენერალ ყაზბეგის მეთაურობით, თავად-აზნაურობისა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა, ქართულ კულტურის მოყვარეთა საზოგადოებისა, რედაქციებისა და სხვ.

◆ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რათა ნება დართოს, დაარსოს სოფ. შემოქმედში (ოზურგეთის მაზრა) ბიბლიოთეკა-სამკითხველო.

◆ **ახალი ხმოსანი ი. ა. თამამშევი**, კანონისამებრ გუშინ დააფიცეს ქალაქის მოურავისა და ქალაქის გამგეობის წევრთა თანადასწრებით.

◆ **საბირჟო ცნობები.** 28 იანვარს შეთანხმება არ მოხდა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგია: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5 პროც. ობლიგაციებისა: აფასებენ 85 მან. 75 კ., აძლევენ 85 მ. 25 კ., ტფ. სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5 პროც. გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ 83 მ., აძლევენ 82 მ. 25 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის 5 პროც. გირავნობის ფურცლებისა: აფასებენ 77 მან. 50 კ., აძლევენ 77 მან. 10 კ.

◆ ტფ. ქალაქის გამგეობას ინგლისურ ფირმის „ხინან ფრუდ“-ის წარმომადგენელმა პ. ბეკელმა წინადადება მისცა, მიანდოს მას ტფილისში **ნაგვის საწვავ სადგურების** მოწყობა. ბეკელი იმ აზრისაა, რომ ნაგვის დაწვის დროს გამოცემულ სითბოს ენერგიის გამოყენება შეიძლება საქარხნო სამრეწველო დაწესებულებათა გასანათებლადაო.

◆ გუშინდლიდან ტფილისის ერთ-ერთმა დიდმა ფირმამ, რომელიც ფქვილით ვაჭრობს, დიდუბეში **სამი ფურნე** გახსნა (დიდუბის ქ., 7., ანდრეევის ქ., 115 და გორის ქ. 22). ამ ფურნეში გამომცხვარ პურს არსებულ ნიხრზე ნახევარ კაპეიკით ნაკლებ ჰყიდიან. ფირმას აზრად აქვს, ფურნეები სხვა ადგილებშიაც გახსნას.

◆ 27 იანვარს ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, გამგეობის წევრმა თ-დმა ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა, ხმოსნებმა, ინჟინრებმა და ტეხნიკოსებმა დაწვრილებით **დაათვალიერეს საპოლიტეხნიკუმო ადგილი.** შემდეგ დაათვალიერეს ის ადგილიც, სადაც კახეთის რკინის გზის სადგური უნდა აიგონ. დასასრულ მოულოდნელად რევიზია გაუკეთეს ახალ საქალაქო სასალახოს.

◆ როგორც ნამდვილის წყაროებიდან გავიგეთ, ჩარჩები ბ-ნ **ალექსი-მესხიშვილის იუბილეს** გარშემოც გაჩენილან. ზოგიერთ უსირცხვილო პირთ შეუძენიათ წინდაწინვე თეატრის კასიდან ბილეთები და [illegible] რომ მოთხოვნილება ბილეთებზე დიდია ორმანეთიან ბილეთებს 5 მან. ასაღებენ, 3 მან 7 მანეთად და სხვ. სასურველია თვით მყიდველებმა ალაგმონ ეს მაწანწალანი და არ გადაიხადონ მაზე მეტი რაც ბილეთები ნამდვილად ღირს.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის მოსამსახურე მოხელეებმა კარგა ხანია განიზრახეს, შეედგინათ **ეკონომიური საზოგადოება**, რომ თავიანთი ძალით დაეარსებინათ საზოგადო სავაჭრო სახლი, რათა წევრთ ხელმისაწვდომ ფასებში მიაწოდონ: ტანისამოსი, ფეხსაცმელები, სანოვაგე და სხვა. თითო პაი ღირს არაუმეტეს 2 მან. შაბათს, 2 თებერვალს საბჭოს დარბაზში შესდგება პირველი კრება ამ საზოგადოების დამფუძნებელთა. კრება აირჩევს გამგეობას, სარევიზიო კომისიას და სხვა.

◆ როგორც შევიტყეთ, „ახალ კლუბის“ თავმჯდომარე **თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი** თავს ანებებს თანამდებობას და მიემგზავრება სპარსეთს, ქალაქ რეშტში, სადაც იგი მიიწვია ხე-ტყის მწარმოებელ სააქციონერო საზოგადოებამ.

◆ **ჩვენი საზოგადოების ყურადღებას მივაქცევთ** იმ უმწეო მდგომარეობაზე, რომელშიაც ჩავარდნენ ფილიპე მგელაძის ობლები. თვითონ მგელაძე სატუსაღოშია. მისი მეუღლე გარდაიცვალა. უპატრონოდ დარჩენილია მათი ოთახი მცირეწლოვანი ბავშვი.

◆ **შანტაჟისტობა.** 23 იანვარს, ტფილისის მე-2 გილდიის ვაჭარმა ჩითაევმა მაძებარ პოლიციის უფროსს შემდეგი განუცხადა: დილის 11 საათზე, საეკლესიო ნივთეულობის მაღაზიაში ფოსტის მოხელემ წერილი მოიტანა, რომლითაც სამი უცნობი 200 მანათსა მთხოვდა. თუ არ მივცემდი, სიკვდილით მემუქრებოდნენ. წერილი უმარკო იყო, კარანდაშით ნაწერი, არც ფოსტის ბეჭედი ჰქონდა. მოტანისას თვითონ იქ არ ვიყავ და ჩემს ნოქარ ალექსანდრე ჯავახიშვილს მიეღო. ჯავახიშვილი ქუთაისის გუბ. სოფ. მაღლაკის მცხოვრებია 15 წლისაო. 24 იანვარს, როდესაც ჩითაევის მაღაზიასთან გამოჩნდა იგივე ფოსტის მოხელე, მაძებარ პოლიციის უფროსის განკარგულებით შეიპყრეს. იგი აღმოჩნდა ხარკოვის გუბერ. მცხოვრები ის. პეტ. პოლუხაკოვი, რომელსაც აღმოაჩნდა მეორე წერილიც იმავე ჩითაევის სახელობაზე 3 კაპეიკიან მარკით და ფოსტის ბეჭედით. ამ წერილში განმეორებული იყო იგივე მოთხოვნილება. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ორივე წერილი ჯავახიშვილის ხელით ყოფილა დაწერილი. ამის გამო ჯავახიშვილი შეიპყრეს და გამომძიებელს გადასცეს.

◆ **გამოფენა.** საბოლოოდ გადაწყდა, 27-დან 29 ივნისამდე გუმბრში საქონლის გამოფენა გამართონ. ამის გამო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მესაქონლეობით ბიურომ მიწად-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა გამოფენის მოსაწყობად 1500 მან. გადასდოს. ამას გარდა შუამდგომლობა აღძრა, სადაც ჯერ არს, რათა ცხენების გამოფენა, რომელიც დანიშნულია 1 ივნისისათვის გუმბრში, 27 ივნისისთვის იქმნეს გადმოტანილი.

◆ ზუბალაშვილის სახელობის **საბავშვო საავადმყოფოს** მოწყობის თაობაზე მოსალაპარაკებლად დღეს ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექნებათ ქალაქის საავადმყოფოების ექიმებს. საბავშვო საავადმყოფოს შენობა თითქმის სულ დამთავრებულია.

◆ **ქალაქის ცენტრალური საავადმყოფო**, რომელიც გადადის სომეხთა სემინარიის ახალ შენობაში (სალდათის ბაზარში), მოქმედებას 4 თებერვლიდან დაიწყებს. საავადმყოფოს შესასვლელი ექნება გრაფის ქუჩიდან. დღემდე ავადმყოფებს ფულს ართმევდნენ, მხოლოდ რეცეპტში (5 კაპ.) დღეის შემდეგ ავადმყოფებმა წელიწადში 10 კ. უნდა იხადონ.

◆ მოსკოვის ქალაქის თვით-მმართველობას გაუხსნია **პურის დუქნები**. ტფ. ქალაქის გამგეობამ სთხოვა მოსკოვისას, აცნობოს მასალები ამ საქმის მოწყობისა.

◆ გუშინ-წინ მეათე სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებმა ნიხრის დარღვევისათვისათვის **ოქმი შეუდგინეს მეპურეებს**: ვაჩნაძეს, არჩუაძეს და სულაძეს.

◆ რადგანაც **ქალაქის საბჭომ** დაადგინა, 30,000 მან. დარჩენილი გადასახადი აპატიოს ღარიბ მცხოვრებთ რომანოვთა გვარეულობის სამასის წლის იუბილეს აღსანიშნავად, ამიტომ ქალაქის გამგეობას ყოველდღე მრავალი თხოვნა მისდის მცხოვრებთაგან და გადასახადების პატიებას თხოულობენ.

◆ „**ახალ კლუბის**“ სარევიზიო კომისია ენერგიულად მუშაობს კლუბის ანგარიშებისა და საქმეების შესამოწმებლად. სანგარიშო წელს კლუბს შემოსავალი ჰქონია 176,000 მან. უეჭველად ასეთი დიდი შემოსავლისა მამასახლისთა საბჭოს ისეთი დიდი ხარჯები ჰქონებია, რომ არამც წმინდა მოგება რამ დარჩენია, არამედ გადასახდელი ვალი კომისიის გამოანგარიშებით კლუბს ათას თუმანზე მეტი ატყდება. როგორც საბჭო, ისე სარევიზიო კომისია ყოველსავე ღონისძიებას ხმარობს, ანგარიშები, ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და სხვა საქმეები 20 თებერვლისთვის შეამზადოს. მკითხველებმა როგორც იციან, საზოგადო კრება კლუბის წევრთა 20 თებერვლისთვის დაინიშნა.

◆ **ავლაბრის კლუბმა** 1912 წლის წმინდა მოგებიდან გადასდო: 1,000 მან. ავლაბრის საქალებო პროგიმნაზიის სასარგებლოდ და 500 მ. სხვა და სხვა განმანათლებელ საზოგადოებისთვის.

◆ **თერძების მამასახლისად** აირჩიეს ე. ი. დალაქიშვილი, მის კანდიდატად ი. ო. გელოვანიძე.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქართულ დრამატიულ საზოგადოების** გამგეობას სხდომა ჰქონდა. გამგეობამ მოისმინა წინადადება თავმჯდომარის თავ. ნ. დ. ერისთავისა იმის შესახებ თუ როდისათვის დაინიშნოს საზოგადო კრება უკანასკნელ წლის ანგარიშისა და სხვა საქმეების განსახილველად. გამგეობამ დაადგინა, საზოგადო კრება დრამატ. საზ. წევრთა დაინიშნოს 3 მარტისათვის, გამგეობამ დაავალა საზოგადოების ხაზინდარს ალ. ბ. მიხინოვს ეხლავე შეუდგეს ამ წლის ანგარიშების შედგენას.

რადგანაც არა ერთხელ სმენია გამგეობას საყვედური მაყურებელ საზოგადოებისაგან, რომ ორკესტრში ბილეთების გაყიდვა უწესოებას იწვევს, გამგეობამ დაადგინა ამიერიდან ორკესტრში ბილეთების გაყიდვა მოისპოს.

დრამატიულ კურსების ზედამხედველობა გამგეობის დადგენილებით დაევალა ადმინისტრატორს. მსახიობ ქალი ნებიერიძისა ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია. გამგეობამ მოისმინა თხოვნა ქ-ნ ნებიერიძისი და დაადგინა: დაეხმაროს მას 15 მანეთით.

◆ **ტფ. საარტისტო საზოგადოების** წევრთა წლიური კრება 27 იანვარს მოხდა. წაიკითხეს 1912 წლის ანგარიში. ხოლო მისი დამტკიცება მარტისთვის გადასდეს. დაამტკიცეს 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ნავარაუდევია 64,000 მან. მამასახლისებად აირჩიეს: პ. პ. ბეჟანბეკი, დ. ი. ყორღანოვი, ა. ფ. მირიმანოვი, ქ. გ. ხაჩატუროვი, ა. ნ. ქალანთაროვი, ი. მ. ხუდადოვი, ა. ნ. ქალანთაროვი, შ. მ. მელიქ-ბეგლიაროვი, ა. ბ. ჩუმაროვი, ვ. ი. ფითოევი და ა. ს. ჩიმიშკიანი. მათ კანდიდატად—ვ. ს წოვიანოვი, სარევიზიო კომისიის წევრებად: [illegible] ქ. გ. არარატოვი, ლ. ნ. ფრიდონოვი და მ. ი. შახნაზაროვი. მათ კანდიდატად—ნ. ს. შენგელია.

◆ **სახლის პატრონთა და მდგმურთა საზოგადოების** საბჭოს კრება 27 იანვარს მოხდა ქალაქის გამგეობის შენობაში ექიმ ბაგრამოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ სასურველად იცნო, კანცელარიისთვის მუდმივი ოთახი დაიქირავოს ნერსესიან სემინარიის ძველ შენობაში, მანამდე კი სთხოვოს კავ. სას. სამეურნეო საზოგადოებას, დროებით ერთი ოთახი დაუთმოს კანცელარიისათვის. კრებამ მოისმინა სხვა და სხვა პირთა წინადადებანი, რომელთაც ჰსურთ ამ საზოგადოებას მიწები მიჰყიდონ, საბჭომ საზოგადოების გამგეობას დაავალა დაათვალიეროს ეს მიწები.

ქუთაისი

◆ ვახტანგ ჩიჩუას შესაფერი შუამდგომლობა აღუძრავს, სადაც ჯერ არს **ს. ხრესილში** საკრედიტო ამხანაგობის, საფოსტო განყოფილების და კოოპერატიული აფთიაქის დაარსების ნებართვის ასაღებად.

◆ **25 იანვარს**, საღამოს 8 საათზე, ქალაქის თეატრში მოხდა კრება დრამატიულ საზოგადოების წევრების და მოქალაქეებისა. კრებამ აირჩია **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** იუბილეის მომწყობი კომიტეტი.

◆ 25 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ქუთაისში „ქალთა წრეში“ ქ-ნმა ჩიტო შარაშიძის ასულმა **რეფერატი** წაიკითხა: „ქართველი ქალი ქართულ ლიტერატურაში“ („მერცხ.“).

სამღვდელოების კრება

26 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სამღვდელოება კვლავ შეიკრიბა სემინარიის შენობაში. მეფის მოადგილის კანცელარიის მოხელემ ბ-ნმა სლავინსკიმ განუმარტა ახალი კანონი გლეხთა დროებით ვალდებულების გაუქმებისა.

27 იანვარს, საღამოს, სამღვდელოების კრება გაგრძელდა. კრებამ ითათბირა სამარხ კასის წესდებაზე. სამღვდელოებამ მხედველობაში მიიღო ეგზარხოსის სურვილი, დაარსდეს იმერეტალური კასა და დაადგინა, წესდება წარუდგინოს ეგზარხოსს დასამტკიცებლად.

ხანგრძლივი კამათი გამოიწვია საკითხმა: რამდენი გადაიდოს სასულიერო პირთა თავშესაფარის ასაგებად როგორც ვწერდით, სასულიერო პირთა ქვრივ-ობოლთა სამზრუნვე-

---

დიმიტრი ყიფიანი

(ცხოვრების, აზროვნების და მოღვაწეობის მატიანე)

კარი XII.

დიმიტრი ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობის მატიანე სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ ორი სამწუხარო გარემოება, რომელიც მას სრულიად მოულოდნელად თავს დაატყდა. ჯერ კიდევ მარშლობის დროს (1864 1869 წ.), თავდებად დაუდგა ოდესღაც შეძლებულ კახელ მემამულეს, თ-დ დიმიტრი აფხაზს, რომელსაც 30,000-დე ვალი დაედო ილარიონ ფორაქოვისა. დიმიტრი აფხაზის კარდენახული დიდი მამული უნდა გაეყიდულიყო, თავდებად რომ არ დასდგომოდა თავად-აზნაურთა წინამძღოლი, დიმიტრი ყიფიანი. გულკეთილობით უარი აღარ უთხრა, ენდო მდიდარ მამულის პატრონს. საქმე კი ისე დატრიალდა, რომ, რაკი აფხაზმა ვადაზედ არ დააკმაყოფილა ფორაქოვი, ამ უკანასკნელმა დიმიტრის მოსთხოვა ვალის გადახდა. დიმიტრის ნდობა ჰქონდა საზოგადოებაში, თორემ შეძლების პატრონი იგი არასოდეს არ ყოფილა. ასე რომ დიდ გაჭირვებაში ჩავარდა ამ თავდებობის გამო. ფორაქოვმა უჩივლა. დიმიტრი ყიფიანს იმედი ჰქონდა გამართლებისა, რადგან უკანონოდ მიაჩნდა თავდების პასუხის-მგებლობა იმ შემთხვევაში, როდესაც მოვალე, რომელსაც უდგება იგი თავდებად, გაკოტრებულ მოვალედ არ არის გამოცხადებული. მაგრამ სასამართლომ ფორაქოვის სასარგებლოდ გადაუწყვიტა დიმიტრი ყიფიანს 32,222 მ. გადახდა. ყიფიანმა თავის მხრივ აფხაზს უჩივლა 1 ნოემბ., 1869 წ. მაგრამ აფხაზის ქონება, 350 ათას მან. ღირებული, საჯაროდ გაიყიდა და დარჩა თ-დ ნაპოლეონ ამატუნის. ფულადაც ჰქონდა დიდი თანხები—ეს თანხაც, 120 ათას მან. სოლომონ შავეროვის ხელში გადავიდა. ძვირფასი ნივთებიც, ვინმე ალ. ტერ-ასატუროვთან დაგირავებული, იმასვე დარჩა. ერთის სიტყვით, დიმიტრის საჩივარი დაგვიანებული იყო, რადგან, სანამ მოასწრობდნენ აფხაზის ქონების გადარჩენას ეგრედ-წოდებული „Запрещенiе“-ს, დადებით, ამ ქონებიდან აღარა დარჩა-რა. ახლა ფორაქოვს უჩივლა, მაგრამ სენატის საკასაციო დეპარტამენტმა 22 აპ. 1870 წ. წინანდელი განაჩენი დაამტკიცა. კიდევ ერთი საშუალება იხმარა დიმიტრიმ. ხელმწიფეს მიჰმართა თხოვნით. საქმე ის არის, რომ დ. ყიფიანს უკანონოდ მიაჩნდა უმაღლეს ინსტანციის გადაწყვეტილება. და თუმცა განსაჩივრება სენატის გადაწყვეტილებისა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ რადგან დიმიტრის თვალში ხელმწიფეს ისეთი სისრულე აქვს უფლებისა, რომ უკანასკნელი ინსტანცია სამართლისა სწორედ ამ უფლების სისრულეშია, ამიტომ მიჰმართა უქვეშევრდომილესის თხოვნით.

ამგვარი შეხედულება დამახასიათებელი თვისებაა დიმ. აზროვნებისა. მონარქიის თეორეტიკოსები იმის მტკიცებას სცდილობენ, რომ მონარქია მით განირჩევა დესპოტიისაგან, რომ მონარქი ექვემდებარება მის მიერ დამკვიდრებულ უფლებრივ წყობილებას. დესპოტი კი არაო. დიმიტრი ყიფიანისთვის კი, რომლის თვალში მონარქის უფლების სისრულე არავითარის ტერმინით განსაზღვრული არ არის, შესაძლებელი იყო განსაჩივრება საკასაციო დეპარტამენტის განწყობილებისა, მაშინ, როდესაც კანონი უფლებას არ აძლევდა ამგვარ განსაჩივრებისათვის. თხოვნით, რომ მიემართა ხელმწიფისათვის, წყალობა რომ ეთხოვნა, მატერიალური შემწეობა და სხვა რაიმე მსგავსი, ეგ სხვა იქნებოდა. მაგრამ დიმიტრიმ პროცესის გადასინჯვა ითხოვა. რუსეთში ეს ხშირად ხდება. მაგრამ ეს მხოლოდ იმისი მაჩვენებელია, რომ ან უფლებრივი რეჟიმი, რომელსაც სცემდა პატივს დიმიტრი უტოპიაა, ან კიდევ უფლებრივი აზროვნება მძიმედ იკეთებს ფესვებს ასეთ წესწყობილებაში.

მაგრამ არც ამ თხოვნამ გასჭრა. თხოვნათა მიმღების კომისიამ იუსტიციის სამინისტროს გაუგზავნა ეს ქაღალდი. ხოლო იუსტიციის სამინისტრომ აცნობა დ. ყიფიანს 17 დეკემბერს 1871 წ., რომ თქვენი თხოვნა უშედეგოდ დარჩაო. ერთის სიტყვით, დიდი ვალი დაედო დიმ. ყიფიანს.

ეს რომ ასე მოხდა, ახლა სხვა უსიამოვნება მიადგა კარებზე. მკითხველს ეხსომება, რომ სამეგრელოს „ოპეკის“ გამო ბევრი სამწუხარო დღეები გამოუვლია დიმ. ყიფიანს—შეტაკება მოხელეებთან, თვით თ. ბარიატინსკისთან, დიდი ადგილის დაკარგვა, პეტერბურგში მოსაწყენი ლოდინი საქმის გამორკვევამდე და სხვა. და ახლა, საიდამაც არ მოელოდა, საფრთხე იქიდამ გამოეტყვრა. საქმე ის არის, რომ 1867 წელს, როდესაც სამეგრელოს მთავარი სრულ-წლოვანი შეიქმნა და „ოპეკაც“ გაუქმებულ იყო, დიმ. ყიფიანმა ჩააბარა ანგარიშები 1868 წ. და მადლობის მ. გიერ, რომ ქონება გადაარჩინა დაქსაქსვისაგან და გაამრავლა კიდეც, დამნაშავეთა სკამზე ჩამოასკუპეს. დიახ, ამაზე მეტი უმადურობა შეუძლებელი იყო. მართლაც „ოპეკუნობა“ რომ ჩაიბარა, იმ წელიწადს მამულს შემოსავალი ჰქონდა 277 მ. რვა წლის განმავლობაში შემოსავალი აიწია 130,000 მანეთამდე, ე. ი. 17,000 მ. წელიწადში. და როდესაც ჩააბარა, იმ წელიწადს შემოსავალი ჰქონდა 80,000 მანეთი. მთავრის ცოლის კნ. ეკატერინეს წერილებს რომ კითხულობთ, რომელთაც სწერდა იგი ამ ხნის განმავლობაში დიმიტრი ყიფიანს, რწმუნდებით, რომ კნეინა ძლიერ ემადლიერება დმიტრის, და თითქმის თავის ოჯახის მხსნელად ჰსახავდა მას. აი რამდენიმე ნიმუში. 1862 წ. კნ. სწერს დიმ. ყიფიანს პარიზიდან: „თქვენ აღშფოთებული ხართ. გევედრებით მოითმინეთ, დამშვიდდით. თუ ხელი აიღეთ „ოპეკუნობაზე“, ჩემი სიკვდილი გინდათ. ჩემის აზრით, ისევ მთელი ჩვენი მამული დაიღუპოს, ვიდრე თქვენ ხელში არ იყოს“. 1863 სწერს იქიდამვე: „რა მადლობელი ვარ, რომ ასე სცდილობთ ჩემი შვილებისთვის... მივილე 5,000 მ. დიდი მადლობა და გთხოვთ, რამდენიც შესძლოთ, მალე კიდევ გამომიგზავნეთ“. იმავ წელს ბიარიციდან სწერდა: „გევედრებით... ნუ სწუხდებით, ყოველივე კარგად წავა... ისეთი ნდობა მაქვს თქვენი, რომ კიდეც რომ მოვკვდე, დამშვიდებული ვიქნები, რადგან თქვენა ხართ ჩემი შვილების მოსარჩლე“. ასეთი საჭირო კაცი იყო დიმიტრი, სანამ საქმე მის ხელში იყო. ხოლო 1870 წელს კი, რწმუნებულის პოლტარაცკის შუამდგომლობით სასამართლოში უჩიოდნენ დიმიტრი ყიფიანს 112,967 მან. 14 კაპ.—ვითამდა ანგარიშებიდამ არა სჩანს, სად ჩაიყლაპა ეს ამოდენა ფულიო. კნეინასთან მოწერილ დიმიტრის წერილიდან სჩანს, თუ რა უსამართლოდ ედავებოდნენ, რასაც ედავებოდნენ. წინად, როდესაც საჭირო იყო დიმიტრის მისვლა პეტერბურგში, თუ პარიზში, დაუყოვნებლივ იბარებდნენ და თანაც ევედრებოდნენ, გთხოვთ ხარჯს ნუ მოერიდებითო. ეხლა კი ამასაც წამოედავნენ, საზღვარ-გარედ მოგზაურობის დროს ბევრი დაგეხარჯაო. რა თქმა უნდა, ბევრი დაეხარჯებოდა. პარიზში 1866 წელს ყოფნის დროს კნეინას სურვილით დიმიტრი დაბინავდა საუკეთესო სასტუმროში, Grande Hôtel du Zouwre“-ში, და რანაირად გინდათ, რომ ამ პირობებში კაცმა ყაირათობა გასწიოს. „1859 წელს, სწერს დიმიტრი, თქვენ 10% დამინიშნეთ, მაგრამ მე არ მივიღე. იქნებ გაიხსენოთ, რატომ არ მივიღე? იმიტომ, რომ თქვენ უფლება არა გქონდათ „ოპეკუნისთვის“ კანონიერ გასამრჯელოსთვის (5%) რაიმე მოგემატათ. მაგრამ თქვენ 1861 წ., როდესაც მთავარი კანტროლი „ოპეკუნობისა“ უკვე კანონით თქვენს ხელში იყო, 15 % ჩემს განკარგულებაში დამითმეთ: წერილით (1 აპრ. 1861 წ.) ნება დამრთეთ მოულოდნელ ხარჯებზე 15% შემოსავლისა“. ამ 15% რომ 5% გასამრჯელოსათვის მიუმატოთ, გამოვა 20%. ანგარიშებში გადამწერის შეცდომით ცალ-ცალკე არ იყო აღნიშნული 15% და 5%. და ამასაც წამოედავნენ, გასამრჯელოს 20% იღებდით, როდესაც უნდა აგეღოთ 5%-იო. ერთის სიტყვით როდესაც კაცის გამტყუნება უნდათ, ფორმალურ მიზეზის გამონახვა ძნელი არ არის, მეტადრე იმგვარ საქმეში, სადაც, სრულის ნდობით აღჭურვილი, სრულიად დამოუკიდებლად და დაუკითხავად მოქმედობდა დიმ. ყიფიანი. სასამართლომაც ისარგებლა ანგარიშის ფორმალურის მხარის სისუსტით და მიუსაჯა დიმიტრი ყიფიანს 65.000 მან. გადახდა თ. მეხგრელსკის სასარგებლოდ.

ასე რომ ეს ორი ზედი-ზედ მოყოლებული, სრულიად დაუმსახურებელი სასჯელი, ისეთის მძიმე ტვირთად დააწვა დიმიტრის კერძო ცხოვრებას, მის ოჯახურ მყუდროებას და სულიერ ვითარებას, რომ სხვა ვინმე, სუსტი ბუნების და ხასიათის პატრონი, მთლად მოიდრიკებოდა და მოწყდებოდა ამ ამბების შემდეგ. მაგრამ დიმიტრი არ შედრკა. მიუხედავად იმისა, რომ პირადად დიდად შეწუხებული და აღშფოთებული იყო, თავი შეიმაგრა, არ შეიმჩნია და როდესაც საჭიროება მოვიდა გაბედულად და ამაყად გამოვიდა საზოგადო სარბიელზე ბოროტ სულებთან საბრძოლველად. დიახ, ამიტომ არის პატივსაცემი და ყურადსაღები ამ კაცის ყოველი ნაბიჯი, საოჯახო თუ საზოგადო ასპარეზზე გადადგმული. ოჯახურ საქმეებს დიდ ძალას ანდომებდა, მაგრამ თქვენ დამშვიდებული ხართ, რადგან იცით, როს ოჯახისთვის „საზოგადოს“ იგი არასოდეს არ ივიწყებდა, რომ ოჯახს არ „ჩააყლაპვინებს“ თავს და ის, რაც საჭიროა საზოგადოებისთვის, საზოგადოებასვე დარჩება. მაშ გავყვეთ დიმიტრის ცხოვრებას და ნუ გვეწყინება, რომ გარემოებამ აიძულა საზოგადო საქმეებისთვის თავი მიენებებინა და დროებით ისევ პეტერბურგში გამგზავრა.

1880 წ მარტში დიმიტრი ყიფიანი პეტერბურგშია. აქ დიდი იმედი ჰქონდა ლორის-მელიქოვისა, რომელსაც მაშინ დიდი ძალა და გავლენა ჰქონდა მმართველთა წრეებში. ლორის-მელიქოვს დაახლოვებით იცნობდა დიმიტრი ყიფიანი. ყარსის აღების შემდეგს 1878 წელს, როდესაც ლორის-მელიქოვი პეტერბურგში მიემგზავრებოდა, სადაც დიდ თანამდებობას ჰპირდებოდნენ, დიმიტრის ეპატიჟებოდა, წამოდი ჩემთან, დამჭირდებიო. და აი ეხლა დიმიტრის იმედი ჰქონდა ლორის-მელიქოვის დახმარებისა მის აწეწილ-დაწეწილ საქმეებში. ლორის-მელიქოვს უამბო თავისი გარემოება. ლორის-მელიქოვი ჰპირდება, ისე დაგაბინავებ, რომ კმაყოფილი დარჩებიო, ოღონდ ერთი ორი თვე უნდა მოიცადოო. აქ ისევ დიმიტრის მემუარებს დაუგდოთ ყური:

— „თუ მოცდაზეა, მოვიცდი, ვუპასუხე მე. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ აქ სხვა კერძო და საზოგადო საქმეებიც მაქვს და სიტყვას გაძლევთ, თუ ჩვენს საზოგადო საქმეების გაჭირავებას ლმობიერად მიჰხედავთ, ჩემს კერძო საქმეებზე ხმას აღარ ამოვიღებ.

— მაშ ჯერ საზოგადო საქმეებზე მოვილაპარაკოთ.

— მე მხოლოდ ორ რამეს მოგახსენებ: ერთი ეხება პრიკაზისადმი თავად-აზნაურობის ვალს, მეორე წ.-კითხვის საზოგადოებას.

— ხალხის განათლებისთვის მზად ვარ გემსახურო. მაგრამ ჯერ „პრიკაზის“ თაობაზე; რაკი ვალი გმართებთ, ხომ უნდა გადაიხადოთ.

— კიდეც ეს არის, რა პირობებში ავიღეთ ეს ვალი. თავდაპირველად უნდა მოგახსენოთ, რომ პატივსადეგები მიზეზიც რომ არ ყოფილიყო ამ ვალის (3 მილიონამდე) პატიებისა, ჩემზე უკეთ იცით, რომ ამგვარი წყალობა სავსებით დაიმსახურა ქართველმა თავად-აზნაურობამ.

— ამ სიტყვებით ვცნობ ჩვენს წინანდელ წინამძღოლს.

— არა, ხუმრობა იქით იყოს. თქვენ ხომ იცით, რომ ქართველები განუსაზღვრელად ერთგულნი არიან ტახტისა და მონარქის წყალობის სახით ამგვარი საჩუქარი რომ მიეცეთ, სწორედ რომ კარგი იქნება, მით უმეტესად, რომ ამგვარ წყალობისათვის სერიოზული იურიდიული მოსაზრებაც არის.

— ჰოო? როგორ?

ო 20 ოთახიანი აშენებას აპირობს სამღვდელოებას ამ საქმისთვის .000 მან. სთხოვდა. კრებამ შეუძლებლად იცნო, ახლავე საქმის ასე ართოდ დაყენება და დაადგინა, ერ-ჯერობით 6,000 მ. დაკმაყოფილდეს. ამ ფულიდან 5,000 მან. თვით სამზრუნველომ უნდა გაიღოს, ხოლო საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებამ 1,000 მ. (მღვდელმა უნდა გადაიხადოს 1 მ., მთავარ-დიაკონმა 75 კ. და მედავითნემ 50 კ.). თავშესაფარს რომანოვების სახელი უნდა ეწოდოს.

კამათი გამოიწვია საეკლესიო მუზეუმის საკითხმაც; კრებამ მოითხოვა ისტორიული ცნობები მუზეუმისა. გამოირკვა შემდეგი: მუზეუმი დაარსებულა ეგზარხოს პავლეს დროს. ეგზარხოს პავლეს დროს სიონის ტაძარს თავის ხარჯით მუზეუმისთვის საკუთარი შენობა აუგია, რომელიც სამღვდელოებას გამოუყენებია, თვით სიონის ტაძარზე შერჩენილა სამღვდელოების ვალი 6,000 მანეთამდე. სიონის ტაძარს ამ ჟამად აფართოვებენ და ამიტომ სიონის კრებული სთხოვს სამღვდელოებას მუზეუმის შენობა აიღონ და ტაძრის გალავანშივე, მტკვრის პირად ააგონ. სამღვდელოებამ დაადგინა, წინადადება მისცეს სიონის კრებულს: 1) აიღოს სხვა შენობები, მხოლოდ მუზეუმი იქვე დასტოვოს. 2) თუ შენობა უშნოდ გამოჩნდება, თავის ხარჯით შეაკეთოს და 3) თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ მტკვრის პირად სიონის ტაძრის კრებულმა მუზეუმის შენობა თავის ხარჯით ააგოს.

სხვა და სხვა ამბავი

✦ ინგლისურ გაზეთებში ცნობაა მოთავსებული, რომ ბაქოს 5 პროც. სესხის ფურცლები ახლო მომავალში განაღდდება. მთელი სესხი 27 მილიონ მანეთით იყო განსაზღვრული და 1909 წ. ნებადართული. ამ სესხის ნაწილი ბაქოს ქალაქის გამგეობამ ინგლისის ბანკებს მიჰყიდა 1909 წელსვე; ნაწილი გაანაღდეს ლონდონსა და ბრიუსელში 1910 წ. ეხლა უნდა განაღდდეს 1.003,320 მანათის ფურცლები 95 მაზანდაზე.

✦ საკანონმდებლო დაწესებულებანი განიხილავენ კანონ-პროექტს, რომლის ძალითაც რუსეთში უნდა შემოიღონ სავაჭრო-სამრეწველო პალატები.

✦ ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი ტიმოშევის თავმჯდომარეობით საუწყებათა-შორისო თათბირი მოხდა. განიხილეს საკითხი სინდიკატებისა და ტრესტების ნებადართულ დაწესებულებად მიჩნევისა. მინისტრის აზრით უნდა იდევნებოდეს ამ დაწესებულებებში მომხდარი ბოროტ-მოქმედებანი და არა თვით მათი არსებობა.

✦ სახელმწიფო ბანკში 8—16 იანვრამდე ნაღდი ფული ყოფილა სულ 6,287 ათასი მანეთი; აქედან ქაღალდის ფული ყოფილა—5,258 ათას მანეთისა, ოქროსი—2,206 ათას მან., ვერცხლი და შავი ფული—1,828 ათას მან.

ამნისტიის გარშემო

მომავალ ამნისტიის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტროში ცნობები მიდის რუსეთში გადასახლებულთა რაოდენობისა.

ადმინისტრაციის წესით გადასახლებულთა რიცხვი იმპერიის შორეულ გუბერნიებში, უდრის 3,300 კაცს.

სახელმწიფო ხაზინას გადასახლებულთა შენახვა წელიწადში 660,000 მან. უჯდება. ამ ბოლო დროს გადასახლებულთა რიცხვმა შესამჩნევად იკლო. 1911 წელს იყო 6,000 კაცი, 1912 წელს—3,500. ეხლა კი მხოლოდ—3,000 კაცი.

ბალკანეთის ომი

დეპეშები.

26—27 იანვარი.

სტამბოლი. ბულაირთან 25 იანვარს ფიცხელი ომი გაჩაღდა. გალიპოლში ქვეითი ჯარის ტრანსპორტები გაიგზავნა. [illegible] ნავთსადგურებზე დაიჭირეს მაკედონიაში ფეხზე მოვაჭრე ბულგარელი ვაჭრები.

სოფია. ჩათალჯაში ოსმალებმა სამი მხრიდან სცადეს იერიშის მიტანა, მაგრამ უკუქცეულნი იქმნენ. ადრიანოპოლზე იერიშის მიტანა და ზარბაზნების სროლა გრძელდება.

პოდგორიცა. 25 იანვარს ვეშოვიჩის, ვუჩინოვიჩის და პეტროვიჩის ბრიგადები მიუახლოვდნენ დიდ ბარდანოლს, რომელიც ყოველმხრივ ალყა შემორტმულია. დაიწყო საშინელი თავ-განწირული ბრძოლა; ბრძოლამ გასტანა მთელ ღამეს, და 26 იანვრამდე გრძელდებოდა. ჩერნოგორელების და ოსმალთა დანაკლისი, როგორც ეტყობა, ფრიად საგრძნობელია. 25 იანვარს დაიღუპა ოსმალეთის მუსილოვი გლავიცის მთელი გარნიზონი. მარტინოვიჩის რაზმი ტარობოშის სიმაგრეს უვნებლად მიუახლოვდა.

გრუდა. ტარობოშის სიმაგრეების მცველთა და ჩერნოგორელების ბატარეებს შორის ძლიერი ბრძოლა დაიწყო.

პოდგორიცა. მეფის-წული დანილო წავიდა ბრძოლის ველზე ბარდანოლის ბრძოლის სათვალყუროდ. ბარდანიოლი ძლიერ გამაგრებულია და შემოვლებული არის ეკლიანი მავთულით.

პოდგორიცა. დილიდანვე მეფე მუვირში იმყოფება და ტელეფონით აძლევს ჯარს ბრძანებას. მთავარი იერიში ბარდანიოლისკენ არის მიმართული. დილის 10 საათზე დაიწყო იერიში. 11½ საათ. პეტროვიჩის რაზმმა აიღო შუმატა-ელავიცა. 12½ საათ. ჩერნოგორელების ჯარმა დაიჭირა მაიტანის ქედი. შუადღისას ჩერნოგორელებმა სერბიის ჯარის დახმარებით დაიჭირეს ბუშატი.

24 იანვარს მეფე ცეტინიეში დედოფალს ატყობინებდა დეპეშით: 25 იანვარს ოსმალეთის სიმაგრეებს სროლას აუტეხავთო; ბევრი ჩერნოგორელი დაიღუპა, მაგრამ გამარჯვება უმსხვერპლოდ არ შეიძლებაო.

ოსმალეთი.

სტამბოლი. სულთანის ბრძანებით გამოიცა დროებითი კანონი, ჯარისთვის საკვების მისაწოდებლად. კანონი უფლებას აძლევს კომისებს შეჰკრიბოს ყოველგვარი სურსათი ჯარისთვის, გარდა მცხოვრებთა საჭიროებისთვის მოსახმარისა. ვაჭრებს მიეცემათ მოწმობა, სადაც აღნიშნული იქნება ფასი, კომისიის მიერ წაღებულ საქონლისა. ბევრ კომერსანტს საზღვარ-გარედ შეკვეთილი ჰქონდა საქონელი. ამის შემდეგ საქონლის შეკვეთა მოისპო.

სტამბოლი. გაზეთ „იღხანის“ ცნობით, 400 ოჯახი გალიპოლიდან წავიდა. მათ შორის გუბერნატორის ოჯახიც.

სტამბოლი. „ტანინის“ სიტყვით, ბულგარებს, ჩათალჯიდან უკან დახევის დასამალად, ჯარისკაცების მაგივრად დაუმწკრივებიათ მანეკენები და ზარბაზნების მაგივრად საკომლე მილები.

სოფია. მეფე და მეფის წულები. ღამით დიმოტიკიდან დიდეცაგაჩში წავიდნენ.

ჩათალჯიდან ოსმალეთის ჯარის იერიშის მოტანის დაწვრილებითი ცნობები: ექვსი ბატალიონი, გამაგრებული ზარბაზნებით, არნაუტკალოსთან ბულგარებს დაეცა, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ ბეიტ-ჩეხმენჯის ხიდამდე. ორ ბატალიონს ბაჩეიშკიოსთან შეჰხვდა ბულგარეთის ქვეითი ჯარი და კარასუსკენ გალალა ოსმალეთის ჯარი.

სტამბოლი. დერკოსასთან, სამი დღის ბრძოლის შემდეგ, ბულგარებმა უკან დაიწიეს.

ოსმალეთის გემები სილივრიას უშენდნენ ყუმბარებს; ოსმალეთის ჯარი სილივრიაში გადმოვიდა და თვალსაჩინო სიმაღლეები დაიჭირა.

ალექსანდრია. მოვიდნენ დიდვეზირად ნამყოფი ქიამილ-ფაშა, შეიხ-ულ-ისლამი და ნამინისტრალი რეშიდ-ბეი.

გაზეთებიდან.

ჩათალჯასთან.

ჩათალჯასთან ბულგარელები ალბად მოერიდებიან იერიშს, სანამ ადრიანოპოლი არ დაეცემა. ოსმალების პოზიციები ძლიერ გამაგრებულია და ამიტომ ბულგარელებს არა ჰსურთ ბრძოლის დაწყება მანამდე, სანამ ადრიანოპოლის ჯარი არ გააძლიერებს მათს მარცხენა ფრთას. სტამბოლიდან ცნობაა, რომ ბულგარელებმა ცეცხლი წაუკიდეს აზიზიეს პოზიციას და ჩერქეზ-კიოსკენ დაიხიეს, რასაც ოსმალები ქამანდად სთვლიან, რათა მტერი სიმაგრეებიდან გაიტყუონ.

გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე.

23 იანვარს, საბერძნეთის ფლოტის მფარველობით, ბულგარელებმა დედე-აგაჩიდან მოსული ახალი ჯარი გადასხეს გალიპოლის ნახევარ-კუნძულზე, რის შემდეგაც კავაქ-სუს მიდამოებში მოხდა საშინელი ბრძოლა. ოსმალებმა ვეღარ შესძლეს გამაგრება და ათი ვერსით უკან დაიხიეს. გალიპოლის ჯარს ცნობილი ენვერ-ბეი უძღვის.

სკუტარის ალყა.

სკუტარის გარშემო გაცხარებული საომარი მზადება აქვთ მოკავშირეებს. ციხის იერიშში მონაწილეობას იღებს სერბიის დამხმარე ჯარი პოლკოვნიკ პოპოვიჩის მეთაურობით, რომელიც მდ. დრინისა და ბოიანის შესართავიდან ავიწროებს ოსმალების სიმაგრეთა სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. 25 იანვარს, ჩერნოგორიის ჯარის მთავარ ბანაკში მივიდა მეფე ნიკოლოოზი მემკვიდრით, რის შემდეგაც მთელი ციხის გარშემო ასტყდა არტილერიის სასტიკი სროლა.

ბალკანეთი და ევროპა

დეპეშები

ვენა. „პოლსკი კორესპონდენცია-ში“ დაბეჭდილია ცნობები გალიციის პოლონელთა პარტიის დაარსებისა. გალიციის სეიმის პოლონელთა კოლომ დეკემბერში 1912 წელს დაადგინა:. თუ საერთაშორისო საქმე გართულდა, შეაგროვონ ყველა, ვისაც კი იარაღის ხმარება შეუძლიან და ავსტრიის ჯარში არ ირიცხებიან. ამ მიზნით დაარსეს კომიტეტი, რომელიც 5 განყოფილებისაგან შესდგება. დაარსდა აგრეთვე კომისია, რომელსაც დაევალა ყველა დამოუკიდებელი პარტიები შეაერთოს.

სოფია. ბულგარეთ-რუმინიის მოლაპარაკება, რომელიც ლონდონში დაიწყებაო, სოფიაში დასრულდება. ბულგარეთის დელეგატებად არიან დანევი და სტამბოლში ელჩად ნამყოფი სარაფოვი; რუმინიის მხრივ ასახელებენ სოფიაში მყოფ ელჩს გიკს.

ვენა. „ნეიე - ვინერ - ტაგებლატი“ მელაურ წერილში სწერს: უცხოეთის პრესა დიდ მნიშვნელობას აწერს გოგენლოეს მისიას ზავის საქმეში. სამთა შეთანხმების პრესა აღნიშნავს ავსტრიის ეკონომიურ და ფინანსიურ გაჭირვებას, და გოგენლოეს მისია ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელ საშუალებად მიაჩნია. ავსტრიის მდგომარეობა არც ისეთი უწუგეშოა, რომ საქმის გამობრუნება არ ეთანხმებოდეს მონარქიის ღირსებას და სიძლიერეს.

სტამბოლი. დიდ ვეზირად ნამყოფი ჰაკი-ფაშა დიდ სახელმწიფოებთან მიდის მისიით.

გაზეთებიდან.

მოკავშირეთა ახალი მოთხოვნილებანი.

მოკავშირე სახელმწიფოების გაზეთები სიხარულს გამოსთქვამენ, რომ გაჭიანურებულ საზავო მოლაპარაკებას ბოლო მოეღო და გადამწყვეტი ძალა ისევ იარაღს ერგო. დარწმუნებული არიან, რომ ომი მალე გათავდება, რადგან ოსმალეთის გზაბნეულ მხედრობას [illegible] წინააღმდეგობის გაწევა არ შეუძლიან. ზოგიერთი გაზეთი ახლავე ითვალისწინებს იმ მოთხოვნილებას, რომელსაც გამარჯვებული მოკავშირენი წარუდგენენ დამარცხებულ ოსმალეთს. „ახლა,—სწერენ იგინი,—ბულგარეთს სრული უფლება და შეძლება აქვს სტამბოლის დაპყრობისა“. ბულგარეთის ოფიციოზური გაზ. „მირი“ თუმცა ასე გულახდილად არ ლაპარაკობს, მაგრამ იგიც დარწმუნებულია, რომ ახლა ადრიანოპოლის საკითხი უკან ჩამოდგა, რადგან დღევანდელ პირობებში ბულგარეთისთვის აუცილებლად საჭიროა გასავალი მარმარილოს ზღვაზე, ამიტომ ადრიანოპოლთან ერთად გამარჯვებული ბულგარეთი ქ. როდოსტოს დათმობასაც მოითხოვსო, ასე რომ ბულგარეთ-ოსმალეთის მომავალი საზღვარი სამხრეთით მდ. ერგენეს ნაპირამდე დაიწევს.

საყოველთაო ომის შიში.

ომის განახლებამ ახალი საფრთხე მოუვლინა ევროპის დიპლომატიას. არავის ეგონა, თუ ბულგარეთი ასე მოულოდნელად აალაპარაკებდა თავის ზარბაზნებს, მით უმეტეს, რომ ფერდინანდ მეფის ახლანდელი განზრახვა საიდუმლოებითაა მოცული. რუსეთის დიპლომატიის აზრით, ბულგარეთი ადრიანოპოლის აღებით დაკმაყოფილდება, რის შემდეგაც ისევ განახლდება საზავო მოლაპარაკება. ხოლო უცხოეთის დიპლომატია სულ სხვა აზრისაა. თუ ბულგარელებმა ადრიანოპოლი მალე აიღეს, ჩათალჯაზედაც თავის თავად განახლდება ბრძოლა და მაშინ სტამბოლის დაპყრობაც აუცილებელი გახდება. ამის მომასწავებელია ის გარემოებაც, რომ გალიპოლიის ნახევარ კუნძულზე გაცხარებული ბრძოლაა, რომლის მიზანსაც სტამბოლის აღება შეადგენს. სტამბოლის აღებას უეჭველად ევროპის ჩარევა მოჰყვება და ვინ იცის, რითი გათავდება საქმე. ამას გარდა, დღეს არა ხვალ, სერბია-ჩერნოგორიის შეერთებული ჯარი იერიშით აიღებს სკუტარის, რომელიც ავსტრიის განზრახულებით ალბანეთის მომავალი ავტონომიის ფარგალში უნდა შევიდეს და მაშინ ვინ დასძრავს იქიდან გამარჯვებულთა ჯარს.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

26—27 იანვარი.

საზღვარ-გარეთ

ბრიუსელი. პალატამ უარჰყო სოციალისტების წინადადება კონსტიტუციის გადათვალიერებისა და საარჩევნო უფლების შემოღებისა. კენჭის ყრის წინ ილაპარაკა სოციალისტების ლიდერმა ვანდერველდემ. იგი იმუქრებოდა საყოველთაო გაფიცვით, თუ სოციალისტების წინადადებას არ მიიღებსო.

ბერლინი. „დეიტჩეს-თეატრში“ პირველად წარმოადგინეს ტოლსტოის „ცოცხალი მკვდარი“. დრამ-რეინგარტმა დასდგა.

— ვალი აღებულია ბატონყმობის დროს. „პრიკაზი“ სესხს აძლევდა გლეხთა კომლებში. ეს გირაო (ყმები) დღეს აღარ არსებობს. და ამისი დამნაშავენი ხომ ფულის მსესხებელნი არ არიან. სესხის ხელშეკრულობის საფუძველი დაარღვია მესამე პირმა, საკანონმდებლო ძალამ. კავკასიის მმართველობამ უკვე აღძრა შუამდგომლობა კავკასიის კომიტეტში. საჭიროა, რომ მხარი მისცეთ...

— მართლაც, მეც მაგონდება, რომ სესხს მიწების დაგირავებით კი არ აძლევდნენ, არამედ გლეხების. შეადგინეთ ამის შესახებ მოხსენება, მეც ვეცდები. სხვა საქმე რაღა არის?

— სხვა საქმე ეხება ქართველთა შორის წ.-კ. გამავრცელებელ საზოგადოებას, რომლის დამფუძნებელ წევრად თქვენც ბრძანდებით. გვინდა გამოვითხოვოთ თქვენი მფარველობა ამ საზოგადოებისადმი და აი რასა გთხოვთ. თუ 3 მილიონი ვალი ეპატიება თავად-აზნაურობას, ამითი წყალობა გავრცელდება თავად-აზნაურობის ერთ მესამედზე. და რათა დანარჩენი ორი მესამედიც გაზიარებული იყოს ამ წყალობაში, ასე მოახერხეთ, რომ ნაწილი ვალისა წაშლილი იყოს აზნაურებიდან, ხოლო დანარჩენი ნაწილი მიეცეს წ.-კ. საზოგადოებას. (часть долга сложить со съеговъ, а остальную предостарить въ пользу распространенія грамотности).

— კარგი აზრია. ამის შესახებაც ქაღალდია საჭირო. მაგრამ ერთ მოხსენებას შეადგენთ, როგორც ყოფილი წინამძღოლი, მეორე მოხსენებას კი?

— როგორც თავმჯდომარე საზოგადოებისა.

— კეთილი! ხვალ შეიძლება?

უსათუოდ ხვალ მოგართმევთ. და წარუდგინე კიდევაც. კერძო საქმეებზე ხმა აღარ ამოვიღე. მაგრამ ეს საზოგადო საქმე გაკეთდა. ერთი იმიტომ, რომ გრაფ ლორის-მელიქოვს „კავკასიის კომიტეტის“ სხდომაზე დაუგვიანდა და იქ უკვე გადასწყვიტეს ეს საქმე, კარგად გადასწყვიტეს, რადგან გლეხთა რეფორმის დროიდან შეგროვილი პროცენტი და ჯარიმა მოხსნეს. მეორე ვერ გაკეთდა, რადგან ვარშავაში ვილაც გიჟს (какой-то тамъ самодуръ) plus royal que le roi-ს, რაღაც სისულელე ჩაუდენია და ამიტომ ახლა მოუხერხებელიაო ქართველთა განათლებაზე ლაპარაკიო. ღმერთო ჩემო! რა აქვს საერთო საქართველოს პოლონეთთან!“

ამ ნაწყვეტიდან სჩანს, რომ დიმიტრის სულიერ ვითარების ძველი მოტივები ცოცხალნი არიან მის გულში. მაგრამ ისინი ხომ არასოდეს არ მოჰკვდებიან. ეს არის, რომ თავად-აზნაურული წოდებრივი აზროვნება, გარემოებათა ზედგავლენით, დაირღვევა, გულს შეაშუქებს წარმტაცი სურათი ფართო და განიერ ცხოვრებისა და იქნება მომენტი, როდესაც ყოველივე ამ გულში დამონებული იქნება ერთის აზრით, ერთის გრძნობით, ერთის მოვალეობის აღსრულების საჭიროებით.

დიმიტრი ყიფიანის პეტერბურგში ყოფნის დროს იმდენს ეცადნენ, რომ კიდევ ჩაითრიეს იგი სამეგრელოს საქმეებში. ახლა „ოპეკა“ აღარ არის. თ. ნიკოლოზ დადიანი სრულწლოვანია. სრულწლოვანმა მთავარმა ხელი აიღო სამეგრელოს ტახტზედა. და უმაღლესს წრეებში ისევ ყურადღებით ეპყრობიან, და მზად არიან, მადლობის ნიშნად, კიდევ გაუწიონ მფარველობა მის ქონებას. აზრად აქვთ მაიორატად გამოაცხადონ მამულები, რომელიც პირადად თ. მინგრელსკის ეკუთვნოდა. ყველა ამ საქმეების მოწესრიგებისათვის დაარსებული იყო „უმაღლესი კომისია“, რომლის თავჯდომარედ იყო მინისტრი ო. ლივენი, წევრებათ კლეინმინი, სტარიცკი (კავკასიაში ნამსახურნი) და სმირნოვი. და აი ამ კომისიაში უნდოდათ დიმიტრი ყიფიანის შეყვანა, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ამ საქმის ერთად-ერთი მცოდნე დიმიტრი ყიფიანი იყო. სანამ გავაგრძელებდე საუბარს, მეტი არ იქნება გავაცნო მკითხველს ის დოკუმენტი, რომლის ძალით მოისპო სამეგრელოს დამოუკიდებლობა—წერილი თ. ნიკ. მინგრელსკისა ხელმწიფე იმპერატორთან ალექსანდრე II თან:

„თქვენო იმპერატორებითი დიდებულებავ! დღეს შესრულდა დღე, როდესაც სრულ-წლოვანი გავხდი, თქვენი ცხონებულის მამის იმპერატორ ნიკოლოზის 1853 წ. საინვესტიტურო გრამატას ძალით. ამ გრამატას და თქვენი იმპერატორობითი დიდებულების რესკრიპტის მიხედვით, რომელიც ჩემ მშობელს უბოძეთ 7 სექტემბერს 1857 წ., მე შემეძლო დავბრუნებულიყავი ჩემს მფლობელობაში. მაგრამ იქ მალე გლეხთა რეფორმა უნდა განხორციელდეს. ამ რეფორმას მოჰყვება ძირითადი ცვლილება ეკონომიურ და ადმინისტრატულ პირობებისა. და მე ვიცი სურვილი თქვენი იმპერატორობითი დიდებულებისა, რომ სამეგრელოს მმართველობაც იმავ საფუძველზე დაწესდეს, რა საფუძველიც დამყარდა დანარჩენ ამიერ-კავკასიაში. მაგრამ, თქვენს წინაშე, ხელმწიფევ, არ დავმალავ, რომ საშინლად მეძნელება გავშორდე მამაპაპეულ ტახტს, რომლის კანონიერება 1804 წ. სახელმწიფოებრივ აქტით დამტკიცებული იყო ჯერ თქვენის მამის მიერ, მერე თქვენმიერადაც. ხოლო, რათა ავასრულო თქვენი სურვილი, უუავგუსტეველო ხელმწიფევ, თქვენდამი უსაზღვრო ნდობით გამსჭვალული, არაფრის წინაშე არა ვდგები—არც ჩემ წინაპართა იმედების გაცრუება მაშინებს, არც ჩემი ოჯახის ინტერესი და მომავალი—სამეგრელოს მთავრის უფლებები მომირთმევია თქვენი უმაღლესი ტახტის ფეხთა ქვეშ, ჩემი სრულწლოვანების დღეს. და მხოლოდ თქვენს გულს, რომელიც ღმერთის ხელშია, შეუძლია დააფასოს მნიშვნელობა ამ ჩემის განცხადებისა. ამის შემდეგ მემამულედ ვიქნები იმ მამულში, რომელიც პირადად მე მეკუთვნის, რომელიც დღემდე განსაკუთრებულ თქვენი დიდებულების ბძანებით დაარსებულ „ოპეკას“ ხელში იყო ამ მამულის გამგებლობაში შევალ, როგორც კი დამთავრდება გლეხთა რეფორმა და დამყარდება იქ საზოგადო წესი. ხოლო ამისათვის გამოვითხოვ თქვენს ნებართვას“.

ის აქტი დაწერილია 4 იანვარს 1867 წელს. ამ დროიდან სამეგრელოც ის არის, რაც საქართველოს დანარჩენი პროვინციები, და რაკი მოხდა ის, რაც მოხდა საქართველოში, სამეგრელოც ვერ ასცდებოდა ამ გზას. და ეს ცვლილება კარგიც იყო მისთვის, რადგან დიდ ფეოდალის მმართველობის ტვირთს ნახევრად მაინც იშორებდა თავიდან.

„უმაღლესი კომისია“ დანიშნული იყო იმ განზრახვით, რომ პატრონობა გაეწია თ. მინგრელსკის მამულისთვის იმ დრომდე, სანამ ის, რეფორმის შემდეგ, თითონ არ ჩაიბარებდა მას.

დიმიტრი ყიფიანს არ უნდოდა ამ საქმეებში გარევა. მაგრამ აღარ მოეშვნენ, ლორის-მელიქოვი ძალიან სთხოვდა. ამ საქმესთან დაკავშირებული იყო ჯამაგირიან ადგილის შოვნაც, რაც ეხლა ასე საჭირო იყო დიმიტრისთვის. ლორის-მელიქოვთან ამის გამო ასეთი საუბარი ჰქონდა:

— კარგი, თანახმა ვარ, ხოლო ნება მომეცით ჩემი სურვილებიც გამოვსთქვა.

— ე. ი. პირობები? უსათუოდ.

— მაშ აი რა. ჩემი სამსახური შეწყდა თ. მინგრელსკის საქმეების გამო. საჭიროა, რომ აღმიდგინონ ჩემი სამსახურის უფლებანი, ე. ი. ჩამითვალონ სამსახურში დრო, რომელიც სამსახურს გარეშე დავყავი. მაგალითები ყოფილა, ეს ძნელი არ არის.

— ჰო, ძნელი არ არის.

— საჭიროა, რომ ჩემსა და თ. მინგრელსკის შორის არავითარი ანგარიშები არ არსებობდეს. ჩემი გულის წყრომა ვერ დამიშვიდებია იმის გამო, რომ ასე უსამართლოდ მომექცნენ. ამ ხასიათის გრძნობა ხელს შეუშლის ჩემს მუშაობასაც.

— რასაკვირველია, ამაზე ლაპარაკიც მეტია.

— გარდა ამისა, რაკი სამსახურში შევდივარ, ჯამაგირიც უნდა მქონდეს.

— ჯამაგირი ათასი თუმანი გექნება.

— თ.უ მინგრელსკის ჯიბიდან, ბევრია. უამისოდაც ჰყვლეფენ. შვიდი ათასი საკმარისია.

გამიშტერა თავისი საკვირველი თვალები, რომელნიც თითქოს ამბობდნენ: ჰო, ჰო გიცანით, გიცანით.

— მაშ ინახულეთ ხვალ ნიკო და მერე მიამბეთ ყოველივე.

მიველ ნიკოსთან. გადამეხვია, თითქოს არაფერიაო და მეუბნება:

— ცუდად მიდის ჩემი საქმე, დიმიტრი ივანიჩ, უნდა დამეხმაროთ.

— ვიცი და რაც იყო იყო, გულწრფელად მინდა დაგეხმაროთ.

— მადლობელი ვარ, მადლობელი“.

ერთის სიტყვით, დაინიშნა უმაღლეს კომისიის წევრად. დროებით ჩარიცხეს სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში. შეუდგა მუშაობას, ჯამაგირი კი არ ეძლეოდა. საჭირო საბუთების მოსატანად კავკასიაშიც გაგზავნეს. იყო, მოიტანა. მუშაობას განაგრძობდა, ჯამაგირი კი არსად იყო. დიდ გაჭირვებას განიცდიდა დიმიტრი. იმ დროის პატარა დღიური დარჩა, დიმიტრის ხელით ქართულად დაწერილი. აი რამდენიმე ადგილი.

1882 წ. იანვარი 23 შაბათი. მთელ დღეს შინ ვიჯექ, 4 საათზედ წავედი სმირნოვთან. სადილად იქ ვიყავ; ფული აღარა მაქვს მეთქი, გამოვუცხადე—ხვალ ხომ კვირაა და ორშაბათს გამოვიტან და მოვიტანო. ორნივ ერთმანეთს შევჭყურებდით, რომ ახირებულად უმადურს საქმეს ვადგივართ; მაგრამ—მახლას, დღეს ხვალ უნდა გამოირკვეს ჩვენი მდგომარეობა...

25 იანვარი ორშაბათი. დღეს რვა დღეა, რაც აქა ვარ; ჩემი ხაზინა დავითვალე და დახლში მქონია სულ რვა აბაზი და 5 კაპ., ვნახოთ სმირნოვი როგორ გამამდიდრებს.

26 სამშაბათი. დღეს დილას აცხადარელი იყო და ხვალ საუზმედ დამპატიჟა 1 საათზედ. მერე სმირნოვი მოვიდა და ათი თუმანი მომიტანა...

12 მარტს, პარასკევს. კომისიის სხდომა იყო. განცხადება შევიტანე, რომ აქამდის ჯამაგირი არა მაქვს. გაიკვირვეს და გადასწყვიტეს, რომ კომისიამ იშუამდგომლოს სახელმწიფო რჩევის წინაშე.

17 აპრილი შაბათი. დღეს დილის 11 საათზე ვიყავი ფინანსთა მინისტრთან... თანამდებობას თურმე ელიათ და როგორ, რასაო? კი არ ველი, მაქვს მეთქი. ხელმწიფის ბძანებით ჩლენად ვარ მეთქი 1880-ში დანიშნული უმაღლეს კომისიისა და ჯამაგირი კი ჯერაც არ დაუნიშნავთ მეთქი.—ჩემს დოკლადს ამ დღეებში წარვუდგენ ველ. კნიაზსაო.

19 აპრილს, ორშაბათი. ნიჩკას (ცოლს) გავუგზავნე, ისაიას სახელობით, 35 მან. სხვასაც მალე მოგაშველებ მეთქი, თუ ჩემმა დარბაისელმა სმირნოვმა არ მიმტყუნა.

5 მაისი, ოთხშ.. ...წიგნი დავუგდე (სმირნოვს). რადგან ლაპარაკი ავექნება, მაშინ მოგაგონებ და შენ იმათ მოაგონე, რა პირობითაც შემომიყვანეს მანგრელსკის საქმეში და რა ამისრულეს მეთქი.

24, ორშაბ. Оборвалось! არ მინდოდა ბარანოვის ნახვა, მაგრამ მინ. ტარ. (ლორის-მელიქოვს) სიტყვა არ გავუტეხე... რომ შევედი, ცივად მკითხა: რა გნებავთო?—მე მინდოდა გრ. მიხეილ ტარიელოვიჩის ჩამოსვლით მესარგებლა და შემთხვევა მომეცა თქვენთვის შეგვემოწმებინათ ჩემი პასუხი იმ კითხვაზე, რომელიც თქვენის სახელით სმირნოვმა მომცა.—რა არის? სმირნოვმა თქვენის სახელით მკითხა, ვინ მომცა ის დაპირებანი, რომელთა შესახებ იძულებული ვიყავი ჩემს მასთან მოწერილ წერილში მელაპარაკა—[illegible]! ლორის-მელიქოვმა მოგცათ?—ზოგი იმან, ზოგი თქვენ.

— ვერ დაგპირდებოდით იმას, რაც ჩემზედ არ არის დამოკიდებული.—თქვენ მეუბნებოდით...—ეს მე კი არ მეკითხება, თ. მინგრელსკის.—მასთან არავითარი შეთანხმება არა მქონდა.—მაშ მე ვერც ვერას დაგპირდებოდით, და არც დაგპირებივარ.—მაშ, ბოდიშს ვითხოვ, უკაცრავად, შევცდი“...

ერთის სიტყვით, მოთმინების ფიალა აივსო. 10 ივნ. 1882 წ. დიმ. ყიფიანმა დავით ჩუბინაშვილს გამოართვა სესხად 300 მანეთი და 12 ივნისს თავი მიანება პეტერბურგს, სადაც ამუშავებდნენ და ლამაზი სიტყვით ჰკვებავდნენ ორი წლის განმავლობაში. სამშობლოში დაბრუნების უმალ დიმიტრიმ ოფიციალური ქაღალდი გაუგზავნა აღნიშნულ კომისიას, რომ თუმცა კომისიის წევრად ვირიცხები, ხოლო ამ თანამდებობის აღსრულება შემიძლიან მხოლოდ

ტოკიო. კაცურას დაარსებულ პარტიის სახელად ჰქვიან „რეკენდოსიკაი“. პარტიის მიზანია: განამტკიცოს ხალხში მეფის და სამშობლოს სიყვარული. ემსახუროს ზნეობას და ხალხის კეთილდღეობას. ლონდონში ელჩად ინიშნება ინონე.

ლონდონი. ღამე, 26 იანვარს ჩრდილო-ინგლისა, იეელსსა და ირლანდიაში საშინელი ქარიშხალი ამოვარდა.

თეირანი. სალარ-უდ-დოულე ხორასანისკენ გაემართა. ემუქრება საბაზევარუს. ზოგის სიტყვით, სალარ-უდ-დოულეს 300 მხედარი ჰყავს, ზოგის სიტყვით კი 1000.

ურგა. მონღოლეთის მთავრობის ცნობით, ჩინეთმა დარაზმა ხალხასთან საბრძოლველად რაზმი 40.000 კაცისაგან შემდგარი.

ურგა. უანშიკაის დეპეშამ ხუტუხტაზე შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. მონღოლეთის მთავრობა აპირებს კვლავინდებურად უპასუხოს: მანჯურიის დინასტიის დამხობის შემდეგ ჩინეთსა და მონღოლეთის კავშირი გასწყდაო.

მექსიკო. სამხედრო ამბოხებამ იფეთქა. ჯარმა დაიჭირა საეროვნო სასახლე და საზოგადო სახლები. ქუჩებში დარაჯები სდგანან.

რუსეთი.

პეტერბურგი. დაიჭირეს „მუსულმანთა გაზეთი“ წერილისთვის: „კმარა სისხლი“.

ნოვოჩერკასკი. თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ერობის შემოღებისთვის.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა ოლქის მზრუნველებს დაუგზავნა ცნობა, რომ 19 თებერვალს 1913 წელს, გლეხთა განათავისუფლების დღის აღსანიშნავად ყველა სასწავლებლებმა უნდა იუქმოსო.

პეტერბურგი. ფინანსთა მინისტრმა შეიტანა სათათბიროში წინადადება, რათა რომანოვთა საგვარეულოს 300 წლის დღესასწაულისთვის გაიღოს 200.000 მანეთი.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. კვირას, 27 იანვარს, ქართულ თეატრში გაიმართა სადღესასწაულო საღამო ა. ცაგარლის გარდაცვალებიდან 10 წლის შესრულების აღსანიშნავად. ფარდის ახდისას ბ. კოხ. ანდრონიკაშვილმა წაიკითხა დრამატურგის ცხოვრებისა და მწერლობის მიმოხილვა, რის შემდეგაც სცენაზე გამოჩნდა ცოცხალი სურათი: განსვენებული მწერალი თავის ნაწარმოებთა გმირებს შორის. აპოთეოზს მოჰყვა წარმოდგენა მისივე კომედიისა—„რაც გინახავს, ველარ ნახავ“ და აგრეთვე მე-3 მოქმედება „მაიკო“-დან. ორივე წარმოდგენა იშვიათის ბუნებრიობითა და ხალისით შეასრულეს. განსაკუთრებით უნაკლულო იყო მოქმედება ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილისა, ბ. ბ. ვ. აბაშიძისა და ვ. გამყრელიძისა. მათმა ხელოვნურმა ქცევამ ნათლად დაგვანახვა ჩვენი წარსული ცხოვრების ფერმკრთალი სახე. საზოგადოება ბლომად დაესწრო.

წერ. რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის შემწეობით მადლობა გამოუცხადოთ „კლდის“, „განათლების“ და „სახალხო გაზეთის“ რედაქციებს, რომელთაც დაკლებულ ფასად დაგვითმეს თავიანთი გამოცემები. გარდა ამისა, ბ-ნმა ლუარსაბ ბოცვაძემ ხუთი წლის ნომრები „განათლებისა“ სრულიად უსასყიდლოდ გადმოგვცა.

კიევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა საბიბლიოთეკო კომისიის მონდობილობით.

ვ. ეგნატაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი
ა. ჭუმბაძე.

განცხადებანი

თ მ ი ს
ს ა ღ ე ბ ა ვ ი
კაკლის ექსტრაქტისა.
თმას სწრაფად და საფუძვლიანად ჰღებავს, სურვილისამებრ ნაზ-ქერა ფრად, თუ კუპრშავად.
თავდებნი ვართ, რომ უვნებელია.
პარფ. № 4711. თევდ. მიულგენსი,
მის იმპ. უდ. სრულ. რუს. იმპ. სასახლის იჯარადარი კოლნი და რ. ი გ ა.
დაარს. 1792 წ.

[illegible] Метил. 529935. 529954. 1020

სამკურნალო გოგირდის აბანო
„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“
ვორონცოვის ქ. ტრამვაის ლიანდაგზე ახლად შეკეთებული მოწყობილია ყოველ მხრივ და წესიერად.
კომფორტი, ელექტრონული განათება. გვაქვს სხვა და სხვა ფასიანი ნომრები, და აგრეთვე საზოგადო სათავად-აზნაურო განყოფილება—30 კ.—ხოლო მამაკაცებისა—15 კ. ყველა ნომრებსა და განყოფილებაში ორ-ორი მილია 29% და 35%, ცხელი და ცივი, გოგირდის სიმრავლე საუკეთესო საშუალებაა ქარებისა, ჭუასილისა, სისხლნაკლებულობისა და სხვა დაძველებულ სნეულებათა. გვაქვს მოწმობა ტფ. სამ. ლაბორ. ანალიზისა. გვყავს გამოცდილი მექისე ქალები და კაცები. მსურველთ შეუძლიათ აბონიმენტები შეიძინონ, ტელეფონი № 115. 16—4

მატარებელთა მიმოსვლა

(ზამთრობით).

15 ოქტომბრიდან.

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: სამგზ.-საბარგო № 8, სად. 1 ს. 26 წ. ჩქარი № 2, დილ. 10 ს. 14 წ. საფოსტო № 4, ღამის 12 ს. 35 წ. სამგზავ. № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. ნარევი № 106. სად. 7 ს. 20 წ.

ბათომისაკენ: სახ. № № 107, დილ. 4 ს. 38 წ. სახ. № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. 50 წ. სახ. № 4, სად. 9 ს. 4 წ. სახ. № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

ბაქოსკენ: ნარევ. № 106, სად. 7 ს. 26 წ.

ერევანისკენ: სახ.-საბ. № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

ჯულფისკენ: საფ. № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

ყარსისკენ: სახ.-საბ. № 6;5, სად. 8 ს. 10 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან. ნარევ. № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. სახ. № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. საფ. № 3, დილ. 9 ს. ჩქარ. № 1, სად. 9 ს. 0 წ. სახ.-საბ. № 7, დილ. 11 ს. 55 წ.

ბათომიდან: სახ № 12, დილ. 8 ს. 50 წ. საფ. № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. სახ. № 6, სად. 5 ს. 56 წ. ნარევ. № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

ერევნიდან: სახ.-საბ. № 83;7, დღ. 5 ს. 28 წ.

ყარსიდან: სახ.-საბ. № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

ჯულფიდან: სახ. № 43, დილ. 8 ს.

ბორჯომიდან: სახალ. № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

მიხაილოვიდან სურამში სახ.-საბარგ. № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. სახ.-საბ № 63, დილ. 5 ს. 30 წ. სახ.-საბ. № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. სახ.-საბ. № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. სახ.-საბ. № 69, სად. 7 ს. 53 წ. სახ.-საბ. № 71, სად. 9 ს. 20 წ.

სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ. № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. სახ.-საბ. № 62, დილ. 4 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 64, დილ. 7 ს. 8 წ. სახ.-საბ. № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. სახ.-საბ., № 68, სად. 6 ს. 38 წ. სახ.-საბ. № 70, სად. 8 ს. 26 წ.

ქუთაისიდან რიონში: სახ. № 77 დილ. 5 ს. 28 წ. სახ. № 79, დილ. 10 ს. 14 წ. სახ. [illegible] 1, ნაშ. 2 ს. 3 წ. სახ. № 83, ნაშ. [illegible] ს. 84 წ. სახ. № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

რიონიდან ქუთაისს: სახ. № 76, დილ. 6 ს. 25 წ. სახ. № 78, დილ. 11 ს. 2 წ. სახალ. № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. 82, სად. 6 ს. 55 წ. სახ № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

შორაპნიდან ქუთაისს: სახ. № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ. № 26, დილ. 6 ს. 6 წ. სახ. № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. სახ. № 6, სად. 5 ს. 1 წ. სახ № 8 п, სადამ. 9 ს. 10 წ.

სამტრედიიდან ფოთში; სახ. № 3 п შუადღ. 1 ს. 57 წ. სახ. № 7 п, სად. 7 ს. 24 წ. სახ. № 5 п, სად. 7 ს. 59 წ. სახ. № 25 г ნაშ. [illegible] ს. 18 წ.

ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 ს. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. საფ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ქობულეთ.-დან ბათომს: სახ. № 13, დილ. 7 ს. 4 წ. სახ. № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. სახალხ. № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

ნატანებიდან ბათომს: სახ № 17, ნაშუად. 5 ს. 20 წ.

ბათუმიდან ქობულეთში. სახ. № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. სახ. № 14, დილ. 5 ს. 43 წ. სახ. № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

ბათომიდან ნატანებს: სახ. № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ. № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. სახ. № 65, სად. 9 ს. 14 წ. სახ. № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ. № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. სახ. № 55, დილ. 5 ს. 58 წ. სახ. № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.

საკუთარ ჭერ-ქვეშ ყოფნის დროს. ამიტომ მხოლოდ იმ ქალიშვილებზე შეეძლიათ პასუხის გაცემა, რომლებსაც იქ გამოუგზავნიანო. ამითი გათავდა ეს უცნაური სამსახური. „ხეტავი გამაგებინა, ეკითხება დიმიტრი თავის თავს მოგონებებში, ყველას ემართება ამგვარი რამ, ყველას ეპყრობიან ასე, თუ მარტო, ჩვენ, ქართველებს. მაგრამ ისიც კი არის, რომ ყველაზე, ყველაზე მომთმენნი და მორჩილნი ჩვენა ვართო“.

სამშობლოში ჩამოსვლისას ისევ მძიმე ტვირთად დააწვა ზრუნვა ვალების გასტუმრების თაობაზე. პენსიიდამ ურიცხავდნენ დიდ ნაწილს. რამდენიმე მამული გაეყიდა. მუდამ უსიამოვნებასა და ფულის შოვნის ფიქრში იყო. კიდევ კარგი ვალის გადახდას ერთბაშად არ აკისრებდნენ. ასე, ვაივაგლახით ახერხებდა საქმეების მოწესრიგებას.

იმ ხანებში ქუთაისის თავად-აზნაურთა წინამძღოლად აირჩიეს. და შემდეგ წერილს სწერდა ილია ჭავჭავაძეს: „მოწყალეო ბატონო, დიმიტრი ივანესძე სიხარულით მომილოცნია თქვენი მარშლად დამტკიცება. მომილოცნია მარტო თქვენთვის კი არა, იმერეთისათვის ცალკე და ჩვენის ქვეყნისათვის საერთოდ. ღმერთმა მოგიმართოთ ხელი, რომ თქვენნი სურვილნი ისე აღსრულდნენ, როგორც თქვენ და ჩვენც თქვენთან ერთად ვსასოებთ და ვნატრულობთ. თქვენი არჩევანი იმერეთში დიდი იმედია საზოგადოთ ჩვენთვის, დარწმუნებულნი ვართ, რომ თქვენი საკუთარი სურვილი ჩვენს იმედსაც გადემატება, მხოლოდ ღმერთსა ვთხოვთ, რომ გარემოებამაც ხელი მოგიწყოთ და სურვილნი თქვენნი აღგესრულებინოთ.—ვგონებ, აქამომდე მოგეხსენებოდათ, რომ თქვენს მედიატორებს გაუთავებიათ თქვენი საქმე და განაჩენი გაყრილობისა წარუდგენიათ ოკრუჟნოი სუდში. აღმოჩენილა, რომ სულ 340 დეს. გრგებიათ, მაშასადამე ბანკში დასაგირავებლად მარტო ეგ რიცხვი დესეტინებისა იქნება წარმოდგენილი და ძლიან საეჭვოა ბანკიდან იმოდენა ფული მიიღოთ, რომ ფორაქოვს გაუსწორდეთ მარტო ამ გზით. უეჭველია დაგჭირდებათ სხვა ღონეც მოიძებნოს ფორაქოვის გასასტუმრებლად. მე მგონია, რომ არც ის „სხვა ღონეა“ შორს საძებნელი. მე შევიტყე,—დიდს მთავარს, მიხ. ნიკოლოზის ძეს, მანდ ბორჯომის მიჯნაზე თქვენის მამულის ყიდვა ძალიან მოუწადინებია. იმედია, კაი ფას მოგართმევთ და ამიტომაც ვისწრაფი გაუწყოთ ეს, მაინც და მაინც თქვენთვის საყურადღებო ამბავი იმ განზრახვით, რომ, თუ აქამომდე ეს ამბავი თქვენთვის არ მოუხსენებიათ, წინადვე უწყებული ბძანებულიყავით და სალაპარაკოდ მომზადებული, რადგანაც ამ საგანზე აპირებენ თქვენთან გამოლაპარაკებას უსათუოდ ამ მოკლე ხანში.—დიდს ბოდიშს ვიხდი, რომ გავკადნიერდი და თქვენის შინაურის საქმეების გამო გაგიბედეთ სიტყვა. ამ შემთხვევაში მე მამოქმედებს ჯერ ის, ჩემთვის სასიქადულო, ნდობა თქვენი, რომლითაც მე ღირს მყავით არა ერთხელ ფორაქოვის საქმის გამო; მეორე ის, რომ ყოველთვის ჩემი გულითადი სურვილი ყოფილა თქვენი საკუთარი საქმეები კეთილად მოეწყოს და მით მოგეცესთ უფრო მეტი მოცალეობა და მოსვენება, რომ თქვენი დრო და მზრუნველობა დაუბრკოლებლივ და მთლად მოხმარდეს ჩვენს ქვეყანასა, რომლის სიყვარულიც თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ.—თქვენი მარად პატივისმცემელი ილია ჭავჭავაძე.“

ასე ანუგეშებდა ილია დიმიტრი ყიფიანს. დიმიტრიმ უპასუხა: „უძვირფასესო კნიაზო, ილია გრიგოლის ძევ. ჩვენი საზოგადოების ყოველი წევრისათვის სასიქადულოა წიგნის მიღება თქვენებრი წევრისაგან. და რაც თქვენგან მე გუშინ წიგნი მივიღე, ამისთანა წერილისათვის მადლობა ხომ სწორეთ გულის სიღრმიდან არის ამოსაღები და შემოსაწირავი.—გამამხნევა, გამაცოცხლა ამ წერილმა და გულდამშვიდებული მოველი ხეობიდამ გამოხმაურებას.—მაშინ იმისი იმედიც მექნება, რომ საზოგადოების საწუხრად მაინც არ დაურჩეს ჩემი წინ წამოყენება და არც თქვენ დაგანანებინოთ აგრეთი მხურვალე მილოცვა“.

არა, არ დაანანებინა ილიას მხურვალე მილოცვა იმ ადამიანმა, რომელსაც ბედმა თითქოს განსაკუთრებული დანიშნულება აღმოუჩინა ქვეყნის წინაშე... საქმეებიც თითქოს გამობრუნების გზაზე იყვნენ. პეტერბურგიდამ კარგი ამბები მოუვიდა. სმირნოვი დეპეშით აცნობებდა: „თქვენი საქმე მოეწყო. მალიშევს გაუგზავნიან რწმუნებულებას, რათა თავად მინგრელსკის უფლება თქვენს ცოლს გადასცეს“. „მამ შენ გექნება, სწერს დიმიტრი თავის ცოლს, ოთხჯერ და ხუთჯერ მეტი უფლება, ვიდრე ფორაქოვს აქვს“. მეორე წერილში სწერს თავის ცოლს: „მეცა მგონია, რომ კარგს იზამ, თუ მისწერ თ. მინგრელსკის,—იმას მისწერ, რომ თ. ანტონ ლორთქიფანიძე მატყობინებს თქო, რომ როგორც რწმუნებული შენი, მან მიიღო „აღმასრულებელი ფურცელი“ (исполнительный листъ), რომელიც შენს საკუთრებაში გადაგეცა. შენს თვალში ამგვარი საქციელი უუგანათლებულესის თავადისა, იმდენად კეთილშობილია და შენთვის და შენი შვილებისათვის იმდენად დაუფასებელია, რომ შესაფერ სიტყვას ვერ ჰპოულობ მადლობის სათქმელად. ეუბნები, რომ მადლობელი ხარ, მადლობელი, გულწრფელად და ღრმად, რომ სიბერის დროს ასეთი ნუგეში მოგცეს. აი მსგზავსი ამისა მისწერე რამე, ხოლო ჩემ სახელს ნუ ახსენებ. მე უკვე ჩემ მხრივ მივწერე“.

ამგვარად, თ. მინგრელსკიმ სავსებით გამოიხყიდა თავისი დანაშაული და შესამჩნევი სამსახური გაუწია დიმიტრის გაჭირების დღეებში.

მაგრამ რას მიქვიან გაჭირვება, როდესაც ცხოვრება სამოქმედოთ იწვევს ადამიანს, როდესაც მომწიფებული ყანა მომკელს ელის და მომკელიც ზეზეა, ნამგალსა ჰლესავს და მძიმე საქმისთვის გამზადებულია!..

(შემდეგი იქნება)

არჩილ ჯორჯაძე

იჯარით იძლევა მამული დუშეთის მაზრაში,
სადგ. ქსნკიდან 16 ვერსის მანძილზე, მებ ტონის სახლით, მარნით, მოწყობილ კარ-მიდამოთი, ვენახით, ხეხილის ბაღით, სახნავ მიწებით მდინარის პირად. იქვე იყიდება
ტ ყ ე
ხე-ტყისა და ნახშირის დასაწვავად გასაჩეხი ნაჭრობით სულ 135 დესეტინა.
მისამართი: ტფილისი, ანასტასიევის ქუჩა № 17. ნ. თ. მარქაროვისა. ნახვა შეიძლება დილით 9—11 საათამდე, სადილ მერე 4—6 საათამდე. 81

დ. ზესტაფონში
ექიმი კბილისა ბაბილინა ცხადაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 9—3 ს. საღამოთი 5—7 ს. ასათიანის სახლში, საყდართან. 19

ახლად გაიხსნა
სამშობიარო თავშესაფარი
ე. ლ. არშანინისა და ს. ს. ხატიევისა
ფეხმძიმეთა და მშობიარეთა მიღება სწარმოებს ყოველ-დღე. არის საზოგადო და ცალკე ოთახებიც. მასსაჟი და ყვავილის აცრა, საბებიო საქმე და დედათა სქესის ავადმყოფთა მიღება და აგრეთვე ძიძათა შემოწმება ყოველ-დღე სწარმოებს დილის 11—12 საათამდე. თავშესაფარის გამგე
ექიმი ა. გ. აველისოვი.
ვაგზლის ქუჩა № 12, ბინა 3. 1018

ექიმ ნანასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.
დ ი ლ ი თ:
,606“ და ,914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტატიურად.
ნ. ა. ნანასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგახაროვი: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო-ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მუელინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. ძ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი —2 ს. სნებებით დ. ქალების ავადმ.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.
ექიმი ქალი გ. ლ. რენიგერ-არეშევისა 6—7 ს.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის
1604 დოქტორი ნ. ა. ნანასარდიანი.

მ უ ხ რ ა ნ ი ს კ ე რ ძ ო
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
საწოლი კრაოტებით.
19 თებერვლის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, ტელეფ. № 370.
დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

	ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ:	დილით:
შინაგანი სნეულებანი; ბავშვთა და მოზრდილთ.	სპექტიორი გ. მ. . . .	8½—9½ ს.
	გაზაზოვი ა. ა. . . .	10—11 ს.
	იაშვილი ა. ო. . . .	11—12 ს.
	აბაკელია ი. კ. . . .	12—1 ს.
	ლოლობერიძე გ. მ. . . .	12½—1½ ს.
სადოსტაქრო სნეულებანი:	გრიგორიანი ა. ი. . . .	11—12 ს.
	მელკონიანი გ. ა. . . .	12—1 ს.
	ჯაში ი. ი. . . .	9½—10½ ს.
საშარდე და [illegible] სნეულებ.	გრიგორიანი ა. ი.	11—12 ს.
სნეულებ. საშვილ. და სამშობ.	ექიმი-ქალი საყვარელიძე დ. გ.	11—12 ს.
	ლოლობერიძე . . .	12½—1½ ს.
სნეულებ. ყურ., ყელის და ცხვ.	შტრეიხერი მ. ა. . . .	12 12½ ს.
[illegible] და კანის სნეულებ.	შაკელნიკოვი გ. ი. . . .	1½—2½ ს.

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა ,,606“ და ,,914“**, ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,
ქვირითის (კეტოვ.) ხიზილალა,
თევზის მრეწველნი ძმ. ძებელოვები.
პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.
1131
გამოსული ქერჩის
სელიოტკები,
და ყოველგვარი
კონსერვები.
მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზია მი
მოხარშული ღორი, ზურგიელი,
და ყოველგვარი
✦ შავი ხიზილალა ✦

კახეთის რკინის გზის გამყვანი გამგეობა
აცხადებს, რომ ამ გზისათვის საჭირო ყველა სამოქალაქო შენობების
აგება იჯარით გაიცემა:
I. შენობები ყოველგვარ მოწყობილობითა და ავეჯით:
ა) 52 მოსამსახურეთა ბინა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 301,6 ოთხკუთხ საჟენს.
ბ) 10 ნახევარ-ყაზარმა, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 221,2 ოთხკუთხ საჟ.
გ) 9 ყაზარმა, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 301,03 ოთხკუთხ საჟ.
II. სადგურის თითო-სართულიანი შენობები:
ა) მგზავრთა სადგურები, რომელთა შიგნითი ზომა საერთოდ უნდა უდრიდეს 250 ოთხკუთხ საჟ.
ბ) საბინადრო შენობები—905 ოთხკ. საჟ.
გ) წყლის ცალფა სააუზე შენობები, რომელშიაც უნდა ჩაეტიოს წყალი 10 კუბ. საჟ. 1 ცალი; ორფა სააუზე შენობები, რომელშიაც უნდა ეტეოდეს 2/10 კუბ. საჟ.—1 ცალი და ცალფა სააუზე შენობები, რომელიც უნდა იტევდეს 8 კუბ. საჟ. წყალს—2 ცალი.
დ) წყლის ასაზიდი შენობები, საბინადრო გამართულ შენობებითა 2 ცალი, რომელთა საერთო ზომა შიგნით უნდა უდრიდეს 35 ოთხკ. საჟ.
ამ სამუშაოთა იჯარით გაცემა შეიძლება ერთს პირზე, ან ნაწილ-ნაწილ, მოცილეთა არჩევით და რკინის გზის გამგეობის განაწილებით.
სამუშაოები უნდა დასრულდეს შემდეგ ვადებზე:
ა) სადგურ ნავთლუღი ან დაწყებული მე-44 ვერსამდე, ქვითკირის შენობები უნდა მოთავდეს 1913 წ. ოქტომბერს, სდურგლო საქმე, სასტალარო და გადახურვისა—1914 წ. 1 იანვარს, საბოლოოდ დასრულება და ჩაბარება 1914 წ. 1 ივნისს.
ბ) მე-44 ვერსიდან მე-91 ვერსამდე—ზემოხსენებული პირველი დარგი 1913 წ. 1 ნოემბერს, მეორე 1913 წ. 1 თებერვალს, მესამე—1914 წ. 1 ივნისს.
გ) მე-91 ვერსიდან 108 ვერსამდენაც იმავე ვადაზე.
დ) 108 ვერსიდან თელავის სადგურამდე და გურჯაანის სადგურიდან წნორის წყლის სადგურამდე: პირველი დარგისა 1914 წ. 1 იანვარს, მეორე—1 აპრილს, მესამე—1 ივლისს.
როდესაც გამგეობა მოცილეთა შორის არჩევანს მოახდენს და ამას გამოაცხადებს, მოიჯარადრენი მოვალენი არიან **15 დღეში** წარმოადგინონ ძირითადი სათავდებო თანხა (ზე), მთელი იჯარის ღირებულების 5%, რომელიც მერე თანდათან შეივსება 10% დაჭერით იმ თანხიდან, რომელიც შესრულებულ სამუშაოში ერგებათ, რათა შესდგეს 1/3 დარჩენილ სამუშაოს ღირებულებისა; ამას მერე კი, თანდათანვე უბრუნდებათ დამატებითი სათავდებო თანხა.
შეცილების შედეგი და პირობის წერილთა პროექტები უნდა დაადასტუროს საზოგადოების გამგეობამ.
ფასები უნდა ჩამოსწერონ განსაკუთრებულ ბლანკებზე, რომელსაც გამგეობის სატეხნიკო განყოფილება მისცემს.
გეგმები შენობებისა, ტეხნიკური საზოგადო პირობები, და აგრეთვე სამოქალაქო შენობათა ცნობანი შეიძლება გამგეობის ტეხნიკურმა განყოფილებამ განიხილოს:
1) ამ წლის 28 იანვრიდან—გზის შენობებისა, საბინადრო სახლებისა და სამგზავრო შენობებისა, გურჯაანის სამგზავრო სადგურის გარდა.
2) სამგზავრო სადგური გურჯაანისა და აგრეთვე წყლის სააუზე და წყლის ასაზიდი შენობებისა—ამ წლის 5 თებერვლიდან.
ფასებ აღნიშნული ფურცლები უნდა წარედგინოს, ან ფოსტით გამოეგზავნოს, **გამგეობას (ტფილისი, ელისაბედის ქუჩა № 73)**. დაბეჭდილ კონვერტით არა უგვიანეს ამ წლის **2 თებერ.**, შუადღის 12 საათისა, ზედწარწერით: **„სამოქალაქო შენობათა მოცილეობისათვის“**. 1037

ტფილისი ძუკნონის ქუჩა № 12 სტამბა „შრომა“.